გაზეთი ზიერის, „ვერსიის“ ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№12 (1038) 4 - 5 თებერვალი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## ინტერვიუ თურქეთის ელჩთან



ზექი გუმრუქჩუ: „კონფლიქტურ რეგიონში ჩვენ კარს ვუღებთ ერთმანეთს. ეს უპრეცედენტო შემთხვევაა“

გვ. 7

# პირველი ინტერვიუ პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ

## „ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის მამა უფლებადამცველობას აპირებს



„ეს გადაწყვეტილება, საბოლოოდ, სწორედ იმიტომ მივიღე, რომ ჩემი შვილი პოლიტიკაში, მმართველი პარტიის ერთ-ერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დაინიშნა... ადამიანი ექსპერტის პოზიციიდან მმართველი პარტიის წამყვან პოზიციაზე აღმოჩნდა და ამით მთავრდება ყველაფერი. ირაკლის გაპრემიერების შესახებ ჭორები იმ ბანაკის მიერ დატრიალებული ინტრიგაა, ვისაც სურს, „ოცნებაში“ საქმე კარგად არ იყოს...“

გვ. 3

# გიორგი კობახიძე დუმილს არღვევს

## პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იზრდება



რომელ კომპანიებს შეხვდა დავოსის ფორუმზე საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი გიორგი პერტაია

გვ. 6

## „დასასჯელი უნდა დაისაჯოს! წართმეული უნდა დაბრუნდეს!“



რატომ აფრთხილებს ტელევიზიებს და რატომ აკავშირებს იური ვაზაგაშვილის აფეთქებას უკრაინაში მყოფ ნაციონალებთან ალექსანდრე ქანთარია

გვ. 5

## 72 წლის ქალის მკვლელის განაჩენი

პატიმარი, რომელმაც მოხუცს ყელი გამოჭრა, მაყურებლებმა დაასისხლიანეს და საქათმეში გადაასახლეს



გვ. 9

## არასამთავრობოების „მიჭირხვნა“ დაიწყო?!

გვ. 4

რატომ დაუქნია ყოფილმა პრემიერმა თითო სამ „ენჯეოს“ და დღესაც არსებობენ თუ არა საქართველოში „გონგო-ბინგოები“



## ჯაკუზი — რელაქსის საშუალება თუ საფრთხე ჯანმრთელობისთვის

მეცნიერების სკანდალური დასკვნა

გვ. 8

# ზურაბ ვაზაგაშვილის საქმე გახსნილია – დაიჭერენ თუ არა შს მინისტრის ექსმოადგილე შალვა ჯანაშვილს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**2 თებერვალს, მთავარმა პროკურორმა 2006 წლის 2 მაისს ჩატარებული ე.წ. კორტების სპეცოპერაციის საქმე გახსნილად გამოაცხადა, დაკავებულ 11 პოლიციელს კი ბრალი 3 თებერვალს წარედგინა. სამართლიანობა 9 წლის შემდეგ აღსდგა, თუმცა იმედია, რამდენიმე დაანონსებული საქმის გახსნა ისევ 9 წლით არ გადაიდება. ბრალის წაყენებას თბილისის პოლიციის სამმართველოსა და მოდულის შენობებში ბრალდებულთა ადვოკატებიც ესწრებოდნენ.**




პროკურატურის ინფორმაციით, განზრახ მკვლელობის, მტკიცებულებათა ფალსიფიცირებისა და განზრახ უკანონო დაკავების ბრალდებებით დააკავეს: შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის ყოფილი მოადგილე ირაკლი ფირცხალავა, ამავე დეპარტამენტის სამძებროს უფროსის ექსმოადგილე გიორგი ცააძე, ექსგამომძიებელი ლევან ბერიძე. შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს სპეცდანიშნულების ჯგუფის ყოფილი უფროსი კახაბერ ნაკანი და მისი ყოფილი მოადგილე გიორგი გულბიანი. ასევე, სპეცდანიშნულების ჯგუფის წევრები: იასონ მილაძე, ალექსანდრე ციმაკურიძე, ზურაბ ჯოხაძე, დავით ალელიშვილი, სოსო ჩაკვეტაია და ალექსანდრე სანიკიძე. ხოლო ერთი პირის, შსს-ს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ყოფილ გამომძიებელ გრიგოლ კვინიკაძის მიმართ, რომელიც ქვეყანაში არ იმყოფება, ბრალდების შესახებ დადგენილებაა გამოტანილი. საქმე ეხება საქართველოს სსკ-ს 109-ე მუხლის „ა“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებს, 369-ე მუხლის მესამე ნაწილსა და 147-ე მუხლის პირველი ნაწილს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში კი დაკავებულებს, 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან უვადო პატიმრობა ემუქრება. როგორც პროკურატურა იუწყება, ეს ე.წ. სპეცოპერაცია ირაკლი ფირცხალავას დაგეგმილი იყო, საკონტროლო ტყვია კი ვაზაგაშვილს გიორგი ცააძემ დაახალა. ოფიციალური ინფორმაციით, განახლებული გამოძიების პირობებში 150-მდე მოწმე დაიკითხა და ათზე მეტი ექსპერტიზა ჩატარდა. გამოიკვეთა ზურაბ ვაზაგაშვილისა და ალექსანდრე ხუბულოვის მკვლელობის მოტივიც და გამოძიებამ მომხდარის აღდგენილი სურათი შემოგვთავაზა: გამოძიების მასალების მიხედვით, 2006 წლის 7 აპრილს, ანუ სპეცოპერაციამდე თითქმის ერთი თვით ადრე, სოდ-ის თანამშრომლებმა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ირაკლი ფირცხალავას ძმა, ლევან ფირცხალავა დააკავეს. ხოლო ლევან ფირცხალავას მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაცია სამართალდამცველებს მის დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე სწორედ ალექსანდრე ხუბულოვმა მიაწოდა. ეს დაკავებულის ძმამ, ირაკლი ფირცხალავამ დაგეგმა და „ჩამშვებზე“ შურისძიება გადაწყვიტა. **„მისთვის, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნისთვის, მიუღებელი აღმოჩნდა მისი თანამდებობრივი ავტორიტეტისა და რეპუტაციის ამგვარი ფორმით საფრთხის ქვეშ დაყენება, რის გამოც ძმის დაკავების საქმეში მთავარ ფიგურანტ ალექსანდრე ხუბულოვზე შურისძიება მისი ლიკვიდაციის გზით გადაწყვიტა“,** — განმარტეს პროკურატურაში და დასძინეს, რომ ფაქტების გაყალბების მეშვეობით, ბრალდებულებს იმის წარმოჩენა უნდოდათ, თითქოს მანქანაში ჩაცხრილული ბიჭები შეიარაღებულნი იყვნენ და მათ წინააღმდეგობას უწევდნენ. ბრალს დაკავებულთაგან არც ერთი არ აღიარებს. როგორც პრესას ფირცხალავას ადვოკატმა, დავით ხაჟალიამ განუცხადა, ბრალდებულმა დადგენილების ოქმს ხელი არ მოაწერა. ნაკანი-ფრიცხალავას კიდევ ერთმა ადვოკატმა კახა შონიამ კი დასძინა, გამორიცხულია, დაკავებული 11 პირიდან გამოძიებასთან რომელიმემ ითანამშრომლოსო. პროკურატურაში ამ ინფორმაციას არც ადასტურებენ და არც უარყოფენ. გამოძიება ჯერ კიდევ გრძელდება და როგორც „ვერსიას“ პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა, ნათია სუხიაშვილმა განუმარტა, საქმე გახსნილად გამოცხადებულია, თუმცა ძიება სასამართლოში ბრალის დამტკიცებამდე ვერ დასრულდება. გარდა ამისა, მისი თქმით, შესაძლოა, საქმეში ახალი დეტალებიც გამოიკვეთოს, რასაც გამოკვლევა სჭირდება. ასეთი ახალი დეტალი კი ირიბი მოწმეების დაკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციაც შეიძლება გახდეს. როგორც ვაზაგაშვილების ოჯახის ადვოკატი, ირმა ჭკადუა მიიჩნევს, პროკურატურამ ე.წ. კორტების სპეცოპერაციის საქმეზე, შს მინისტრის ყოფილი მოადგილე შალვა ჯანაშვილიც უნდა დაკითხოს. მისი თქმით, დასაკითხთა სიაში პროკურატურის მაშინდელი თანამშრომლებიც უნდა მოხვდნენ. ამ სიახლეებს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ სულ ერთი-ორი გახმაურებულია საქმეა დარჩენილი, რომელთაც, უახლოეს მომავალში პროკურატურა გახსნის. ასე რომ, როგორც ჩანს დაანონსებული „დაჭერები“ გაგრძელდება. პოლიტიკურ კულუარებში კი შემდეგ გახსნილ საქმედ აფრასიძეების მკვლელობას ასახელებენ!

ვერსიანიუსი

## პრეზიდენტმა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრობის თანამდებობაზე ცხრა კანდიდატურა წარადგინა



პრეზიდენტმა პარლამენტს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრობის სამ ვაკანტურ თანამდებობაზე ღია კონკურსის შედეგად შერჩეული კანდიდატურები წარუდგინა.

მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად პრეზიდენტმა ანა ნაკაშიძის, მერაბ ქათამაძისა და აკაკი სიხარულიძის კანდიდატურები წარადგინა. მეორე ვაკანტურ თანამდებობაზე გიორგი მარგველაშვილმა პარლამენტს ელისო ასანიძის, რატი სხირტლაძისა და სიმონ ნოზაძის კანდიდატურები შესთავაზა.

მესამე ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად კი ქვეყნის პირველმა პირმა გიორგი ფრუიძის, სერგო შავგულიძისა და თამარ ალფაიძის კანდიდატურები დაასახელა.

შესაბამისი წარდგინება საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტს უკვე გადაუგზავნა.

*„პირველი“*

## 20 თებერვლამდე მაღალმთიანი რეგიონების შესახებ კანონპროექტის საბოლოო ვარიანტი მზად უნდა იყოს



პრემიერის დავალებით, 20 თებერვლამდე კანონპროექტის შეჯერებული ვარიანტი მზად უნდა იყოს, რომლის განხილვა და დამტკიცება საგაზაფხულო სესიის განმავლობაში მოხდება. მაღალმთიანი რეგიონების შესახებ კანონზე მუშაობის პროცესში ჩართულნი არიან როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლების წევრები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

კანონის მთავარი პრიორიტეტი მთიანი სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაციის შეჩერება და ადგილზე ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა იქნება.

*„პირველი“*



## შსს-ს დაცვის პოლიციის ახალი შენობა ბაკურიანში გაიხსნა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძემ და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე გურამ ტომარაძემ ბაკურიანში დაცვის პოლიციის ახალი შენობა გახსნეს. თანამედროვე სტანდარტებისა და უახლესი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილ შენობაში დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ოპერატიული რეაგირების ჯგუფები იქნება განთავსებული. მინისტრის მოადგილემ შენობა და ინფრასტრუქტურა დაათვალიერა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, ბაკურიანში ზამთრის ტურისტული სეზონის გახსნასთან დაკავშირებით, ვიზიტორებისა და დამსვენებლების უსაფრთხოების ზომებზე მუშაობას აძლიერებს. დაცვის პოლიციის მიერ აღნიშნულ ტურისტულ ზონაში დაცულია 70-ზე მეტი ობიექტი (სასტუმროები, კომერციული ობიექტები, აგარაკები). დაცვის პოლიცია ასევე იცავს სათხილამურო ტრასის საბაგირო გზას. შესაძლო განგაშზე დროული რეაგირების მიზნით, ოპერატიული ჯგუფები, ავტომობილების გარდა, სპეციალური თოვლმავალი სატრანსპორტო საშუალებებითაც (ბურანები) არიან უზრუნველყოფილნი.

შსს-ს დაცვის პოლიციის ურეკის, გუდაურისა და თბილისის (საბურთალო) ახალი შენობების შემდეგ, ბაკურიანის შენობა, მე-4 ახალი შენობაა, სადაც დაცვის პოლიციის დანაყოფები განლაგდნენ. პოლიციელთათვის სამუშაო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, ახალი შენობების მშენებლობა და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები 2015 წელსაც აქტიურად გაგრძელდება.

მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძემ დაცვის პოლიციის 9 თანამშრომელი სამინისტროს მედლებით დააჯილდოვა 10, 15 და 20 წლის უმწიკვლო სამსახურისთვის. დაცვის პოლიციის თავმჯდომარე გურამ ტომარაძემ მინისტრის მადლობის სიგელი დაცვის პოლიციის 3 ქალბატონ თანამშრომელს გადასცა. თორმეტივე დაჯილდოებული სამცხე-ჯავახეთის რეგიონის დაცვის პოლიციის სამმართველოს თანამშრომელია.

*„ვერსიანიუსი“*

## 2015 წლის იანვარში საქართველოს 309 467 ვიზიტორი ესტუმრა




შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურმა დეპარტამენტმა საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკური მონაცემები წარმოადგინა.

2015 წლის იანვრის თვე 309 467 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2014 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე 3%-ით ნაკლებია.

ამასთან, შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, ხვედრითი წილის ურთიერთმიმართება შემდეგია:

ა) ტურისტი — 111 622 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 36%, კლება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 9%);

ბ) ტრანზიტი — 58 028 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 18,8%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 9%);

გ) სხვა — 139 817 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 45,2%, კლება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 3%).

2015 წლის იანვარში ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან (-12%), აზერბაიჯანიდან (+12%), სომხეთიდან (-2%), რუსეთიდან (-6%) და უკრაინიდან (-10%) განხორციელდა. ასევე, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარში გამოირჩნენ ლიტვა და გერმანია (შესაბამისად 164% და 12%), შუა აზიის ქვეყნებიდან: თურქმენეთი (132%), უზბეკეთი (20%) და ყაზახეთი (16%), ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან კი — ბელორუსისა და მოლდოვას მოქალაქეები 53% და 43%-იანი მატებით.

*„ვერსიანიუსი“*

# გიორგი კობახიძე პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ დუმილს არღვევს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**აკეთებს განმარტებებს, ამბობს, რომ შესაძლოა, 10 წლის შემდეგ პოლიტიკაში დაბრუნდეს, ამჯერად კი არ სურს, შვილს ისედაც რთული პოლიტიკური ცხოვრება უფრო გაურთულოს. პასუხობს ირაკლი კობახიძის ირგვლივ გავრცელებულ ჭორს გაპრემიერების შესახებ. აცხადებს, რომ ნინო ბურჯანაძისთვის არ უღალატია და ყოფილ პარტიას, საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციებსაც გაუწევს. კატეგორიულად გამორიცხავს საჯარო სამსახურში წასვლას და რაც მთავარია, აანონსებს, რომ ამიერიდან, უფლებათდამცველი ხდება, თუმცა, ჯერჯერობით, ორგანიზაციის გარეშე. პირველ ექსკლუზიურ ინტერვიუს პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, გიორგი კობახიძე „ვერსიას“ აძლევს და აცხადებს, რომ ამის შემდეგ აღარც პოლიტიკაზე ისაუბრებს.**



## რატომ აღარ სურს საუბარი პოლიტიკურ საკითხებზე ნინო ბურჯანაძის ყოფილ თანაპარტიელს

**— პოლიტიკიდან მხოლოდ იმის გამო წახვედით, რომ თქვენი შვილი, ირაკლი კობახიძე პარტია „ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი გახდა, თუ ეს გადაწყვეტილება მანამდე მიიღეთ?**

— 27 წელია პოლიტიკაში ვარ, თუმცა არ დავღლილვარ. უბრალოდ, წესებს ვიცავ.

> **ეს გადაწყვეტილება, საბოლოოდ, სწორედ იმიტომ მივიღე, რომ ჩემი შვილი პოლიტიკაში, მმართველი პარტიის ერთ-ერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დაინიშნა. პოლიტიკიდან რამდენიმე მიზეზის გამო წავედი: პირველი სახელმწიფო ინტერესია, რადგან ქვეყნისთვის კარგი საქმის გაკეთების ყველა მოკლე გზა ხელისუფლებაში ყოფნაა. ახლა ჩემი შვილი სწორედ ამ გზას დაადგა და მეც გადავწყვიტე, არათუ ხელი შევუშალო, არამედ მაქსიმალურად შევუწყო. მეორე მიზეზი ისაა, რომ არსებობს პროფესიული ეთიკის ნორმები და ოჯახის წევრები ერთმანეთთან ოპონირების რეჟიმში არ უნდა იყვნენ; მესამე მიზეზი კი ზოგადი, ადამიანური ეთიკის საკითხია, რომლის დარღვევაც პოლიტიკაში არაჯანსაღ ატმოსფეროს შექმნიდა.**

**— თუმცა თქვენი მეუღლე და ვაჟი 2012 წელსაც იყვნენ „ოცნებაში“, თქვენ კი „დემოკრატიულ მოძრაობაში“. მაშინ ეს პოლიტიკური და ადამიანური ეთიკის საკითხი არ იყო?**

— სავსებით ბუნებრივი და ლეგიტიმური კითხვაა. 2012 წლის არჩევნებზე ჩვენმა ორგანიზაციამ არჩევნებში მონაწილეობაზე უარი ღიად განაცხადა, რათა პოლიტიკურ ძალთა კონსოლიდირება მთლიანად ბიძინა ივანიშვილის ფიგურის გარშემო მომხდარიყო. მაშინ მოსაშორებელი ნაციონალური მოძრაობა იყო, რომელიც ქვეყანას პირდაპირი მნიშვნელობით ხრავდა. ნინო ბურჯანაძემ პარტიის წევრებს პირდაპირ მოუწოდა, ამ პროცესში მაქსიმალურად ჩართულიყვნენ და, ფაქტობრივად, მთელი პარტია, გამონაკლისების გარეშე, „ოცნების“ სხვადასხვა სტრუქტურაში მუშაობდა. ეს პოზიცია უშუალოდ არჩევნების წინ კი არა, ბევრად ადრე გამოვხატეთ. ამის შემდეგ „ოცნების“ საინიციატივო ჯგუფებმა ჩემი შვილიცა და მეუღლეც თამარ ზაალიშვილი, თავად მიიწვიეს სათანამშრომლოდ. თამარი განათლების ჯგუფს ხელმძღვანელობდა, ხოლო ირაკლი — სამართლის სისტემისა და რეგიონული პოლიტიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ჯგუფს. თავიანთ სფეროში ორივე საკმაოდ ავტორიტეტული პროფესიონალია და მათ აზრს ისედაც ყოველთვის ეკითხებოდნენ. ეს ურთიერთობა არჩევნების შემდეგაც არ დასრულებულა. ირაკლისთან კი როგორც გაგრძელდა, თავად ნახეთ.

**— ალბათ, რეზო ამაშუკელის კიდევ ერთ უცნაურ ვიდეოს ნახავდით, სადაც პოეტი, ამჯერად, იმითაა აღშფოთებული, რომ ოჯახში ყველანი პოლიტიკოსები ხართ. მან დადებითად არც თქვენი შვილის პოლიტიკური სტარტი შეაფასა...**

— მსგავსი ვიდეოები სერიოზული საუბრის თემად არ მიმაჩნია. ირაკლის ბაბუა, მალხაზ ზაალიშვილი აკადემიკოსი, ცნობილი მეცნიერია და იგი ყოველთვის აქტიური საზოგადო მოღვაწე იყო, მსოფლიო დონის მეცნიერია ბიოქიმიისა და ბიოფიზიკის დარგებში. სწორედ იგი ხელმძღვანელობდა კომისიას, რომელმაც 9 აპრილს გამოყენებული ლეტალური შედეგების გამომწვევი ქიმიური ნივთიერებები აღმოაჩინა. ეს პოლიტიკოსობასთან არავითარ კავშირში არაა.

**— სხვათა შორის, ხმა გავრცელდა, ირაკლი კობახიძეს მომავალ პრემიერად ამზადებენო. მესმის, ჯერ ამაზე საუბარი ადრეა, მაგრამ მსგავსი რამ კოალიციის კულუარებიდან თქვენც გსმენიათ?**

— ეს უკვე მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან მოდის და ინტრიგების დათესვას ემსახურება. ადამიანი ექსპერტის პოზიციიდან მმართველი პარტიის წამყვან პოზიციაზე აღმოჩნდა და ამით მთავრდება ყველაფერი. ეს იმ ბანაკის მიერ დატრიალებული ინტრიგაა, ვისაც სურს, „ოცნებაში“ საქმე კარგად არ იყოს.

**— ისე, როგორც გიორგი ვოლსკიმ განაცხადა, ბურჯანაძის პარტიიდან გაცილებით ადრე წამოსულხართ, ვიდრე თქვენი შვილი „ოცნებაში“ ოფიციალურად აღმოჩნდებოდა. თანაც პარტიის ბევრი სახე, უეცრად, საჯარო სამსახურში, მაღალ პოსტებზე აღმოჩნდა. მსგავსი შეთავაზება თქვენ არ მიგიღიათ?**

— ეს რატომ და როგორ მოხდა, მათ ჰკითხეთ, ვინც წავიდა. საჯარო სამსახურიდან არანაირი შეთავაზება არ მიმიღია. ვერც შემომთავაზებენ, რადგან, როცა ადამიანს რაღაცას სთავაზობ, მას უნდა იცნობდე კიდეც. მე კი ვინც მიცნობს, ასეთ რამეს არასოდეს მეტყვის. ნინო ბურჯანაძის პარტია იმიტომ კი არ დავტოვე, რომ იქ წყენას ან უკმაყოფილებას ჰქონდა ადგილი. პირიქით, მადლიერი ვარ იმ წლების გამო, რაც ერთად გავატარეთ. აბა, ახლა რა გამოდის — მოვდივარ იმიტომ, რომ სხვა პოლიტიკური მიმართულებით გავაგრძელო საქმიანობა?! ეს თამაშის იმ წესებში არ შედის, რასაც პატივს ვცემ და ვაღიარებ. თანაც, წმინდა პოლიტიკურ საკითხებზე საუბარი არ მსურს. ამ საკითხებზე იმიტომ კი არ ვდუმვარ, რომ პასუხების გაცემას ვარიდებ თავს, უბრალოდ, რაკი ვთქვი, რომ პოლიტიკიდან წავედი, აღარც პოლიტიკურ თემებზე ვილაპარაკებ. გთხოვთ, ამ გადაწყვეტილებას ნუ დამარღვევინებთ.

**— ანუ პოლიტიკიდან სამუდამოდ წახვედით?**

> **— რა იქნება 10-20 წლის მერე, არავინ იცის. თავსაც საკმაოდ მხნედ ვგრძნობ. თუმცა, რა თქმა უნდა, დღეს ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკასთან, მეტ-ნაკლებად, ყველაფერი კავშირშია. დღეს მზად ვარ, თუ ვინმეს ჩემი კონსულტაცია დასჭირდება, დავეხმარო, ვურჩიო და არ აქვს მნიშვნელობა, ეს ხელისუფლების წარმომადგენელი იქნება, თუ ოპოზიციისა, მათ შორის, პირველ რიგში ნინო ბურჯანაძის პარტიას.**

**— გამოდის, პოლიტოლოგობას აპირებთ?**

— რადგან პოლიტიკაში ვიყავი, ეს ავტომატურად, პოლიტოლოგობას არ ნიშნავს. პოლიტოლოგობა პროცესების გარედან ხედვის უნარია, რასაც სპეციალური განათლება სჭირდება. 1994 წელს ევროსაბჭოს პოლიტკვლევათა სკოლაში ერთწლიანი კურსი გავიარე. ეს კურსი სპეციალურად პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების პოლიტიკურ წარმომადგენელთათვის იყო განკუთვნილი და იქ მხოლოდ მთავრობის ან პარლამენტის წევრები სწავლობდნენ. ერთწლიანი ვადა საკმარისად იმის გამო ჩათვალეს, რომ უკვე დიდი პოლიტიკური გამოცდილება გვქონდა. იმ წელს ჩემთან ერთად ეს კურსი პეტრე მამრაძემ, რეზო ადამიამ, გურამ ჩახვაძემ და რეზო საყვარელიძემ გაიარეს. აქამდე, ცხადია, ნეიტრალურობა ვერ ხერხდებოდა, რადგან პარტიული ცხოვრებით ვცხოვრობდი. არც ის მინდა იფიქროთ, რომ საჯარო პოლიტოლოგობას ვაპირებ. თუმცა დღეს ის სფეროც პოლიტიზებულია, სადაც მოღვაწეობის გაგრძელებას ვაპირებ. ვიცი, პოლიტიკის გარეშე ვერც იქ „გადავრჩები“.

**— რომელ სფეროში განაგრძობთ საქმიანობას?**

— სამართლიანობის აღდგენის კუთხით დიდი ინფორმაცია და გამოცდილება დამიგროვდა, მუშაობასაც ამ მიმართულებით გავაგრძელებ. ჯერჯერობით, ამ საქმეს ინდივიდუალურად გავაკეთებ. ჩემი მიზანი იმ საკითხების წამოწევაა, რაც ქვეყნის ნორმალურ განვითარებას აფერხებს. სიძულვილის ენა, ბრალდებები, დისკრედიტაციის მცდელობა, ლაფის სროლა — სამწუხაროდ, ეს პოლიტიკის თანმდევი გახდა. ამის მსხვერპლი მეც მრავალჯერ ვიყავი, ნაციონალური მოძრაობის მოსვლამდეც, მათი მმართველობის დროსაც, ბურჯანაძის პარტიაში. რას არ გვეძახდნენ, რას არ გვაბრალებდნენ, მაგრამ ეს თუ არ დასრულდა, განვითარების ახალ ეტაპზე ვერ გადავალთ.

**— ამას ხელი თქვენ როგორ უნდა შეუშალოთ?**

— ამისთვის უამრავი გზა და მექანიზმი არსებობს. ყოველთვის, მაშინაც კი, როცა პოლიტიკაში ვიყავი, ვცდილობდი, არავისთვის არაფერი დამებრალებინა. ასეთ საკითხებში ნეიტრალურობა ყველაზე ობიექტური პოზიციაა, რადგან არც ერთი მხარის უფლებებს არ არღვევ. ეს პოზიცია კი, მით უმეტეს, მაშინ უნდა გქონდეს, როცა პარტიაში არ ხარ. ამიტომ ახლა კონკრეტულ ფაქტებზე საუბარს ისე ვაპირებ, ვინმე არ დავადანაშაულო. ერთ ფაქტს გავიხსენებ — 2012 წლის 3 ოქტომბერს ანუ, როცა არჩევნების შედეგები ოფიციალურად გამოცხადდა და „ოცნებამ“ გაიმარჯვა, მე და ჩემი მეუღლე ირინა ენუქიძის საფლავზე ავედით, რათა ყვავილები მიგვეტანა და მადლობა გვეთქვა მისი სულისთვის. ამ ქალბატონმა, როგორც ერთმა ადამიანმა, ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს დანაშაულებრივი რეჟიმისგან დახსნაში. დღეს მთელი ერი გამოწვევის წინაშეა, რადგან მას შემდგე, რაც იური ვაზაგაშვილი აафეთქეს, ქვეყნისთვის ახალი ათვლის წერტილი დაიწყო.

**— ანუ, შესაძლოა, სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით გამართულ აქციებზე თქვენც გიხილოთ, უფლებათდამცველის სტატუსით?**

— ეს უკვე დეტალებია — სად ვიქნები ფიზიკურად და სად არა. იგულისხმეთ, რომ როცა მსგავსი აქციები ჩატარდება, მას აუცილებლად ვგულშემატკივრობ. უფლებათდამცველობას რაც შეეხება, ზოგადად, სჯობს, აქცენტი თემებზე გადავიტანოთ და არა სტატუსზე, თუმცა რატომაც არა, უფლებათდამცველობას ნამდვილად ვაპირებ.

## ვერსიანიუსი

### შს მინისტრის სახელით საჩუქრები გადაეცათ სათხილამურო შეჯიბრში გამარჯვებულ, 2008 წლის ომში დაღუპული პოლიციელების შვილებს



შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურის სახელით, მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძემ საჩუქრები გადასცა ბაკურიანში, სათხილამურო შეჯიბრში გამარჯვებულ, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული შსს-ს თანამშრომლების შვილებს და წარმატება მიულოცა.

შს მინისტრის ინიციატივით, 12-მა ბავშვმა ბაკურიანში, ერთ-ერთ სპორტულ სკოლაში, 10 დღის განმავლობაში დაისვენა და სათხილამურო სპორტს დაეუფლა. დასვენების ბოლო დღეს დაღუპული შსს-ს თანამშრომლების შვილებისთვის თხილამურებით სრიალში შეჯიბრი ჩატარდა და გამარჯვებულები გამოვლინდნენ.

*„ვერსიანიუსი“*

### ფოთის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის ყოფილი მოადგილე დააკავეს

საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს და ბრიუსელის ინტერპოლის ბიუროს თანამშრომლობის შედეგად 1968 წელს დაბადებული ვიქტორ ჭელიძე დააკავეს.

ჭელიძე 2000-2005 წლებში მუშაობდა ქალაქ ფოთში დისლოცირებული სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის მოადგილედ ლოჯისტიკისა და ინფრასტრუქტურის დარგში. აღნიშნულ პერიოდში მან არაერთხელ გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას და სახელმწიფო ქონებას უკანონოდ ასხვისებდა.

ვიქტორ ჭელიძე დამნაშავედ იქნა ცნობილი: მითვისება ან გაფლანგვაში, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, სამსახურებრივ სიყალბეში, სამხედრო ქონების განზრახ დაზიანება ან განადგურებასა და სამხედრო ქონების შენახვის წესის დარღვევაში.

ვიქტორ ჭელიძის საქართველოში ექსტრადიცია 31 იანვარს განხორციელდა.




*„პირველი“*

# არასამთავრობოების „მიჭირხვნა“ დაიწყო?!



## რატომ დაუქნია ყოფილმა პრემიერმა თითი სამ „ენჯეოს“ და დღესაც არსებობენ თუ არა საქართველოში „გონგო-ბინგოები“

შორენა პაპაშვილი
593-17-13-37

დაპირებული სატელევიზიო თოქ-შოუს მოლოდინში, ქართული საზოგადოების განსჯის საგნად ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის ბოლო სატელევიზიო ინტერვიუ იქცა. მისი შეფასებები და აქცენტები ზოგისთვის არა მხოლოდ შინაარსის, არამედ საუბრის მეტად მარტივი მანერისა და ზედმეტად „მიამიტი ტონის“ გამოც აღმოჩნდა მიუღებელი და ხელისუფლების დეკლარირებული ღირებულებებიდან გადახვევად შეფასდა. ბიძინა ივანიშვილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პოლიტიკაში დაბრუნებას არ გეგმავს, სურს ჯანსაღი სამოქალაქო სექტორის განვითარება და დემოკრატიული ღირებულებების დაცვა. „ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს“, — ასეთი განწყობა შეუქმნა ექსპერტებს ივანიშვილის მიერ სამი არასამთავრობო ორგანიზაციის კრიტიკამ: „ისინი თავს მთავრობაზე დიდ არასამთავრობოებად მიიჩნევენ. ლომჯარიას, გიგაურსა და კოჟორიძეზე დავდებთ საინტერესო კვლევას, რადგან მათი საქმიანობა ბადებს შეკითხვებს და ბევრი საკითხი ტაბუდადებული აქვთ“.

თავად არასამთავრობოების წარმომადგენლებმა შექმნილი ვითარება მათ მიმართ ზეწოლად შეაფასეს და ერთობლივი განცხადებაც გაავრცელეს: „ბიძინა ივანიშვილის განცხადება არის არა ერთი მოქალაქის, არამედ სახელმწიფოს არაფორმალური მმართველის პოზიცია. მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლების დაუსაბუთებელი რიტორიკა ხელისუფლების დეკლარირებული ღირებულებებიდან გადახვევაა. ეს განცხადებები საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგ მიზანმიმართულად წარმოებული კამპანიის შთაბეჭდილებას ტოვებს. მსგავსი დამოკიდებულება არა მხოლოდ ვნებს დემოკრატიულ ღირებულებებსა და იდეებს, რომლებსაც სამოქალაქო საზოგადოების წევრი არასამთავრობო ორგანიზაციები ემსახურებიან, არამედ აღნიშნული ღირებულებების მოწინააღმდეგე ჯგუფებსაც აძლიერებს. ეს ტენდენცია უკიდურესად შემაშფოთებელია და სახელმწიფოს დემოკრატიულ განვითარებას უშლის ხელს“.

პოლიტიკური ექსპერტების შეფასებითაც, ქვეყანაში თუ საზღვრებსგარეთ შექმნილი ერთგვარი კლიშეს გათვალისწინებით, რომ ივანიშვილი არის ქვეყნის ფაქტობრივი მმართველი, მსგავსი შინაარსის მისი განცხადებები ვერ ჩაითვლება რიგითი მოქალაქის პოზიციად და ბუნებრივად ბადებს ქვეყნის ევროპული გზიდან გადახვევის ეჭვს. ამ ფონზე, გასაკვირი არაა, რომ პოლიტიკურ კულუარებში ივანიშვილის განცხადებების ქვეტექსტების ძიება დაიწყეს და ლოგიკური კითხვების დასმაც: **რატომ დაუქნია თითი ექსპრემიერმა მაინცდამაინც აღნიშნულ არასამთავრობო ორგანიზაციებს? ნამდვილად არსებობს კორუფციულ სქემებში მონაწილეობის ფაქტები, თუ რეალურად „ენჯეობის“ გამოხშირვის, სამოქალაქო სექტორში მოღვაწე კონკრეტული პირების „მიჭირხვნის“ პროცესი დაიწყო?**

არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ხელმძღვანელი **ლია მუხაშავრია** ამბობს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები მსოფლიოში საკმაოდ გამჭვირვალედ მუშაობენ. თუ მათი მხრიდან თავდასხმა მიუღებელია ხელისუფლებისთვის, საამისოდ არსებობენ ხელისუფლებასთან შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციები, ანუ ე.წ. გონგოები და ცალკეულ პოლიტიკურ პარტიებთან დაახლოებული ბინგოების პრაქტიკა. ასეთი გონგოები და ბინგოები კი, მუხაშავრიას თქმით, ბლომად იყვნენ ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში და ასრულებდნენ მისი მთავრობის დაკვეთებს: **„არსებობდა შავი სიები, რომლებშიც ნაციონალების მთავრობას უამრავი მათთვის მიუღებელი არასამთავრობო ორგანიზაცია ჰყავდათ შეყვანილი. ასეთი „გონგოები“ დღესაც არსებობს, მაგრამ დღეს ქვეყანაში განსხვავებული პოლიტიკური ვითარებაა. სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ ღიად გალაშქრება კი ნიშნავს, რომ ქვეყანა არ მიდის დემოკრატიის გზით. თუ ხელისუფლებაში მყოფ რომელიმე პირს არ მოსწონს კრიტიკის მოსმენა, კერძო სექტორში გადაბარგდნენ, რადგან პოლიტიკოსობა თმენის ვალდებულებასაც ნიშნავს“.** არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ხელმძღვანელი გაუმჭვირვალობაში თავად ყოფილ პრემიერს ადანაშაულებს და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების საკითხებში ივანიშვილის კომპეტენტურობასაც ეჭვქვეშ აყენებს. **„სოროსი ამდენ ფულს ხარჯავს საქართველოში, აფინანსებს სხვადასხვა პროგრამას... რას ხარჯავს ივანიშვილის ფონდი? ეს გამჭვირვალე არ არის. გვაინტერესებს, თავად ვის აფინანსებს? არ გამიგონია ივანიშვილს დაეფინანსებინა ნიჭიერი ადამიანები, სამოქალაქო ინიციატივები, ამის შესახებ პირადად მისთვისაც მითქვამს“**, — აცხადებს მუხაშავრია და დასძენს, რომ, თუ რეალურად არსებობს კორუფციულ სქემაში მონაწილეობის ფაქტები, ამით შესაბამისი უწყებები უნდა დაინტერესდნენ.

ექსპერტი **პეტრე მამრაძე** არასამთავრობოებს საკუთარი უფლებების დაცვაში მხარს უჭერს, თუმცა მიაჩნია, რომ ივანიშვილის მოტივაცია სრულებით განსხვავებული იყო და მასმედიისა და არასამთავრობოების შევიწროება აზრადაც არ მოსვლია: **„ჯერ კიდევ პრემიერობის დროს დაიბარა ივანიშვილმა ექსპერტები და მასმედიის წარმომადგენლები და ორივე მხარე „მიჭირხვნა“. ეს არის გულწრფელი ადამიანი, რომელიც ამბობს იმას, რასაც ფიქრობს და სულ არ ფიქრობს იმაზე, ამას რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს. ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს განსხვავებული სურათი შეიქმნებოდა. სააკაშვილისათვის მომგებიანი თუ არ იქნებოდა არასამთავრობოების მოქმედება, ის საჯაროდ იტყოდა, რომ ეს ძალიან კარგია დემოკრატიისათვის, საქმით კი მერაბიშვილსა და ადეიშვილს მათ „ბოლომდე გატისკვას“ დაავალებდა“.**

ექსპერტი კავკასიის საკითხებში **მამუკა არეშიძე** მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილს, როგორც სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელს, სრული უფლება აქვს, კონკურენტი არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობა მოსწონდეს ან არ მოსწონდეს: **„თუ პირი არ წარმოადგენს სამართალდამცავ ორგანოს, რომელმაც აღმოაჩინა კონკრეტული არასამთავრობოს მიერ ფულის გათეთრების შემთხვევა, მისგან მსგავსი განცხადებები ჩემთვის მიუღებელია. სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს კი აქვთ უფლება, შეამოწმონ ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაციის დაფინანსების წყარო, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს აჟიოტაჟის საფუძველი“.** მამუკა არეშიძის განცხადებით, ევროპულ ქვეყნებშიც დაიწყეს იმ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შემოწმება, რომლებიც პოლიტიკური ფულით ფინანსდებიან და რომელთა მიმართაც გარკვეული კითხვები უჩნდება ხელისუფლებას: **„არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა პოლიტიკურ სფეროში თუ გადადის და მათი ქმედება დისკომფორტს უქმნის სახელმწიფოს, უნდა გაკეთდეს შესაბამისი დასკვნები. ეს საკითხი ბევრად დელიკატურ მიდგომას საჭიროებს“.** რაც შეეხება ფსევდოარასამთავრობოებს, მამუკა არეშიძის შეფასებით „გონგოებისა“ და „ბინგოების“ პრაქტიკა საქართველოშიც არსებობს და ხელისუფლება და გარკვეული პოლიტიკური პარტიები, სწორედ მათი საშუალებით ცდილობენ ქვეყანაში პოლიტიკური ინტერესებისა და იდეოლოგიის გატარებას: **„ნაციონალური მოძრაობის მმართველობისას, უამრავი იყო ასეთი „გონგო“ და მსგავსი ფსევდოარასამთავრობოები დღესაც არსებობენ. დღეს მათ ოპოზიცია აფინანსებს. მილიონი ლარი გამოყო სააკაშვილმა მათთვის, თუმცა პოლიტიკური ნიშნით შექმნილი „არასამთავრობოები“, ხელისუფლების მხარეს იქნებიან თუ ოპოზიციისა, ვერ შექმნიან სამოქალაქო საზოგადოებას“.**

# „ზურაბ ჟვანიას საქმეში ახალი მტკიცებულებებია... ბევრი მაღალჩინოსანი აღმოჩნდება გისოსებსმიღმა“




შორენა პაპაშვილი
593-17-13-37

3 თებერვალს, საქართველოს ექსპრემიერის, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებიდან 10 წელი გავიდა. მთავრობის ყოფილი მეთაურის საქმე კი დღემდე გაუხსნელია. მისი თანაგუნდელი მარინა მოლოდინი „ვერსიას“ უმხელს, რომ ბევრი ახალი მტკიცებულება გამოიკვეთა და გამოძიება უახლოეს მომავალში შესაძლოა დასრულდეს. „ზურაბ ჟვანია მოკლეს და ჩვენ დავიშალეთ“, — ამბობს ჟვანიას გუნდის ერთ-ერთი წევრი მარინა მოლოდინი და ეჭვი არ ეპარება, რომ ექსპრემიერის საქმის გამოძიების დასრულების შემდეგ, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების ბევრი მაღალჩინოსანი აღმოჩნდება გისოსებსმიღმა.

ჟვანიას დაღუპვის ვერსიებთან დაკავშირებით პოზიციები ჯერ კიდევ 10 წლის წინ გაიყო თავად ყოფილი პრემიერის გუნდშიც. ზოგისთვის მისაღები აღმოჩნდა მაშინდელი შს მინისტრის, ვანო მერაბიშვილის ვერსია, რომელმაც მეორე დღესვე ამცნო ქართულ საზოგადოებას, რომ ზურაბ ჟვანია მხუთავი აირის გაჟონვის გამო, მოწამვლის შედეგად გარდაიცვალა. მას შემდეგ არსებობს კითხვები და მოლოდინი, რომ „ოცნების“ ხელისუფლება ამ საქმესთან დაკავშირებით ღირსეულ შედეგებს დადებს.

**„მისი გარდაცვალების პირველივე წუთებში განვაცხადე, რომ ეს არ იყო უბედური შემთხვევა. დღესაც მჯერა, რომ ზურაბ ჟვანია მოკლეს. ჟვანიას გუნდის ყველა წევრმა ერთხმად უნდა მოვითხოვოთ, ამ საქმეს დაესვას წერტილი. ჩემთვის ცნობილია, რომ ბევრი ახალი მტკიცებულება გამოიკვეთა, მაგრამ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე არ ხმაურდება. იმ საგამოძიებო მასალებს, რაც თავის დროზე ნაციონალურმა მოძრაობამ აგვაფარა თვალებზე, ექსპერტიზა უტარდება“,** — ამბობს **მარინა მოლოდინი** და დარწმუნებულია, რომ ხელისუფლება ამ საქმეს აუცილებლად გამოიძიებს, რადგან კარგად აქვთ გააზრებული, რომ **„ცივილურ ქვეყანაში პრემიერ-მინისტრი ასე არ უნდა იღუპებოდეს“.**

ქართველი ექსპერტების აზრით, საქართველოს უახლეს ისტორიაში არ უნდა არსებობდეს ასეთი ბურუსითმოცული საქმეები. **„ნებისმიერი ხელისუფლების ვალია, ასეთი ტიპის საქმე გაიხსნას. მათ შორის იმ ხელისუფლების, რომლის წინასაარჩევნო დაპირებაც სწორედ ზურაბ ჟვანიას მკვლელობისა თუ გარდაცვალების გამოძიება იყო“,** — აცხადებს მედიაექსპერტი **ზვიად ქორიძე**. მას აეჭვებს საქმეში დამატებითი მტკიცებულებების არსებობა, რადგან ამის შესახებ საზოგადოებამ არაფერი იცის: **„ექვს თვეში ერთხელ გარკვეული პოლიტიკოსები აკეთებენ განცხადებებს, მეორე ექვსი თვისთავზე პროკურატურა აკეთებს განცხადებას, რაღაც კვალზე დავდექითო... ბუნებრივია, ეს არ უნდა იყოს პოლიტიკური სპეკულაციების საგანი. მისი პირუთვნელი გამოძიება სჭირდება საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს სწორი ანალიზისა და იმისთვის, რომ მომავალში ასეთი გაუთვალისწინებელი რისკების წინაშე არ აღმოვჩნდეთ. გაუგებარია ჩემთვის, 10 წლის განმავლობაში როგორ უნდა მიდიოდეს ამაზე საუბარი?“** — მიაჩნია ზვიად ქორიძეს, რომელიც ხელისუფლებას ურჩევს, თუ პროკურატურას არ ჰყოფნის სათანადო კვალიფიკაცია, დროებით **„დააკონსერვოს“ ეს თემა, რათა „მუდმივი პოლიტიკური სპეკულაციებით არსებულ სამხილებსაც არ დაუკარგონ ღირებულება“.**

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას საქმის გამოძიებას ექსპერტი **ლაშა ტუღუში** ქვეყნის ღირსების საკითხად მიიჩნევს, თუმცა მისივე აზრით, მაინცადამაინც ღირსეულად ვერ გამოიყურებიან ის ხელისუფლებები, რომლებიც ამ საქმეს იძიებენ და საზოგადოებას გაუგებრობაში ამყოფებენ: **„სამართლიანობის აღდგენაზე თუ ვისაუბრებთ, ეს პირველ რიგში ხელისუფლების საქმეა. ამ მხრივ ბევრი რამ გააკეთეს, ამნისტია გამოაცხადეს და გაათავისუფლეს ადამიანები ვინც მართლაც უსამართლოდ იჯდა ციხეში ან ვის მიმართაც ძალზედ მკაცრი იყო წინა ხელისუფლების რეჟიმი. სამართლიანობის აღდგენას ძალიან ბევრი მხარე აქვს. ნდობის გარდა, საჭიროა მოქმედება. მართალია, გამოძიებას დრო სჭირდება, მაგრამ უნდა იკვეთებოდეს ხელისუფლების გეგმა, რა პროცესები მიდის, რა ნაბიჯების გადადგმას აპირებენ“.**

ნაციონალური მოძრაობის წევრი **გიორგი ვაშაძე** მიიჩნევს, რომ ზურაბ ჟვანიას საქმის გამოძიებით დიდად არ არის დაინტერესებული ქვეყნის ხელისუფლება: **„მსგავსი საქმეები საქართველოში სწრაფად უნდა იხსნებოდეს. ქვეყნის ხელისუფლებამ ვერც ერთი გახმაურებული საქმე ვერ გახსნა. ხელისუფლება ექსპრემიერის დაღუპვის საქმეს პოლიტიკურ იარაღად იყენებს“.**

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, 2005 წლის 3 თებერვალს გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა. ოფიციალური ვერსიით: გასათბობი მოწყობილობიდან გაჟონილი მომწამვლელი ნახშირჟანგის აირით. ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, ძველს ახალი ვერსიებიც შეემატა. ბოლო ინფორმაციით, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი კახეთში გარდაიცვალა. ამ ვერსიის არსებობას ზურაბ ჟვანიას ძმა, პარლამენტარი გოგლა ჟვანიაც ადასტურებს და აცხადებს, საქმეში საკმაოდ ბევრი მტკიცებულება დევს და არსებობს წინაპირობა, რომ აქამდე არსებული „ფანტასტიკური ვერსია საპნის ბუშტივით გასკდეს“. **გოგლა ჟვანიას** თქმით, საზოგადოებისთვის უკვე თვალსაჩინო ხდება დანაშაულის ჩამდენები, რომლებიც **„საკმაოდ შფოთავენ და მათთვისვე საზიანო რაღაცებს ლაპარაკობენ, რაც მთლიანად ანგრევს აქამდე არსებულ მათივე ვერსიებს. ირიბად თუ პირდაპირ, უკვე აღიარებენ, რომ თურმე ცხედრებზე დაზიანებები იყო, რომ თვითმხილველებიც არსებობენ, რომლებმაც დაინახეს ბინაში ცხედრების შეტანა“.**

ნინო კომახიძე
599-95-33-16



# „დასასჯელი უნდა დაისაჯოს! წართმეული უნდა დაბრუნდეს!“

## რატომ აფრთხილებს ტელევიზიებს და რატომ აკავშირებს იური ვაზაგაშვილის აფეთქებას უკრაინაში მყოფ ნაციონალებთან ნუკრი ქანთარია

**რეჟისორი და კულტურისა და განათლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, დეპუტატი ალექსანდრე ქანთარია პოლიციის ექსმაღალჩინოსნების დაჭერას ყბადაღებული „სამართლიანობის აღდგენის“ დასაწყისად აცხადებს. ამბის გაგრძელებად, დაკითხვების შედეგად იური ვაზაგაშვილის მკვლელების ცხელ კვალზე გასვლას მიიჩნევს და აცხადებს, რომ ეს კვალი, შესაძლოა, უკრაინაში მყოფ ნაციონალ ლიდერებამდე მივიდეს. ასახელებს ე.წ. დანაშაულებრივ კვარტეტს ყოფილ ხელისუფლებაში, „გათამამებულ“ ტელემედიას ურჩევს, თავისუფლება შეიფეროს და ვითარების განსამუხტად უარს არც ვადამდელ არჩევნებზე ამბობს.**

— **პოლიციის 11 დაკავებული ექსმაღალჩინოსანი ე.წ. კორტების სპეცოპერაციის მონაწილე იური ვაზაგაშვილის აფეთქებამდეც იყო. აქამდე რატომ არ დაიჭირეს?**

— მაშინ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ იური ვაზაგაშვილი, ბოლო პერიოდში, გამოძიების მუშაობით კმაყოფილი იყო. საქმე ბოლოსკენ მიდიოდა და მხოლოდ მისი მკვლელობის გამო არ დაჩქარებულა. ახლა იური ვაზაგაშვილის საქმეც სასწრაფოდ უნდა გამოიძიონ და ანტიტერორისტული, პრევენციული ღონისძიებები დაიწყოს. ამ 11 კაცის დაჭერის შემდეგ, საინტერესოა, სად მიგვიყვანს კვალი. ვფიქრობ, ჩვენი მხრიდან სერიოზული შტურმი უნდა დაიწყოს, ცხადია, კანონის ფარგლებში.

— **შტურმი ვის წინააღმდეგ?**

— „სამართლიანობის აღდგენის“ შტურმს ვგულისხმობ და ეს შეუქცევადი პროცესი უნდა იყოს. არსებობს საფრთხე, ყველა დაპატიმრება ოპონენტებმა პოლიტიკურად შეაფასონ, მაგრამ მეორე მხრივ, ხალხმა სწორედ დამნაშავეების დასასჯელად აგვირჩია. ოღონდ ეს პროცესი ტელედაჭერებით, გამოძიების გარეშე არ უნდა გაგრძელდეს. ფაქტები უნდა შეიკრიბოს, დანაშაულს სწორი კვალიფიკაცია მიეცეს, სასამართლო სასამართლოს ჰგავდეს. ვაღიაროთ, პროკურატურა ასე მუშაობას მიჩვეული არაა და გამოწვრთნილი არასოდეს ყოფილა. ახლა ახალი დეპარტამენტიც იქმნება, რომელიც გახმაურებული საქმეებით დაკავდება და კვალიფიციური კადრებით შეივსება. დასასჯელი უნდა დაისაჯოს, წართმეული უნდა დაბრუნდეს!

— **ომბუდსმენს პატიმარმა უამბო, კრიმინალური პოლიციის უფროსის ექსმოადგილემ, ფირცხალავამ მითხრა, ია მეტრეველს თუ მოკლავ, გაგიშვებო. თუკი ამ ისტორიას უნდა დავუჯეროთ, რატომ არ შეიძლება, „ოცნებაც“ წინა ხელისუფლების ხელწერით მუშაობდეს და პატიმარი ცრუ მოწმედ მოიყვანოს, რათა საქმე სწრაფად „გახსნას“?**

— მეეჭვება... თუმცა სტრუქტურებში, ალბათ, კიდევ არიან ნაციონალები, ვისაც მსგავსი ინტრიგების ხლართვა შეუძლია. ჩვენს ხელისუფლებაში ამის არც სურვილია, არც გამოცდილება. შესაძლოა, ეჭვი გაჩნდეს, რომ იური ვაზაგაშვილის მკვლელობის კვალი სხვა ქვეყანაში მიდის. აქ ოკუპანტების მიერ საფლავის დანაღმვას კი არა, იმას ვგულისხმობ, რომ უკრაინაში საკმაოდ ბევრი ექსხელისუფლების მაღალჩინოსანია, რომლებიც ჩვენს მიერ ძებნილები არიან. არ არის გამორიცხული, სწორედ ისინი ფანტაზიორობენ და რაღაცებს გეგმავენ.

— **ეს მძიმე ბრალდებაა — ამბობთ, ტერაქტი ნაციონალური მოძრაობიდან უკრაინაში მიწვეულმა მაღალჩინოსნებმა დაგეგმეს?**

— არ არის გამორიცხული. არსებობს კვარტეტი — ადეიშვილი, სააკაშვილი, კეზერაშვილი და კოდუა. მათ მსგავსი დანაშაულები უკვე ჩაუდენიათ. ბეტონმობმული, ზღვაში ჩაძირული ადამიანებიც გვინახავს. ეს მათი ხელწერაა, თუმცა ასეთ რამეს პირდაპირ არავის ვაბრალებ. მიზანი შესაძლოა, ქვეყნის არევა და მერე ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერა იყოს. მათ სურთ, საქართველოში განცდა გააჩინონ, ამ არეულობას ნაციონალები ხომ არ დაუშვებდნენო. ცოცხებს კი იყენებდნენ, მაგრამ ეტყობა, ამ ხალხს იმ ცოცხებით აჩერებდნენო. გათვლა იმაზე აქვთ, რომ ღირებულებებსა და დამოკიდებულებას ასე შეცვლიან. ხელს არავის ვადებ, უბრალოდ, ეს იდეები ციდან ხომ არ მოდის და არც ვაზაგაშვილის ასაფეთქებლად ჩამოსულან ეგვიპტიდან და მარსიდან. გამორიცხული არ არის, ეს ჩვენი ყოფილი თანამემამულეების ან აქაური ნაციონალების იდეა იყოს. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდი და პოლიტიკური შეფასებებია.

— **ჰოდა, მოდი, ახლა ვივარაუდოთ, რომ ცრუ მოწმეები, საქმის სწრაფად გასახსნელად და ერთი-ორი ნაციონალის დასაჭერად ხელისუფლებაში მყოფ რომელიღაც ჯგუფს მოჰყავს. ესეც ხომ ლოგიკურია?**

— თუ ვინმე შეფარულად მოქმედებს, გამოსაძიებელია. სამართლიანობის აღდგენა შეუქცევადი პროცესი უნდა გახდეს. იური ვაზაგაშვილის საქმემ ბევრი რამ გააშიშვლა და ხელისუფლება მძიმე გამოწვევის წინაშე დააყენა. ამ გამოწვევებს ადეკვატურად უნდა ვუპასუხოთ. ამას მეც კატეგორიულად მოვითხოვ და ჩვენი მოსახლეობაც. სამართლიანობის აღდგენის კუთხით საქმე დაიძრა, სოცდაუცველთა მდგომარეობის შესამსუბუქებლადაც ბევრი რამ გაკეთდა, მესამე მოთხოვნა კი მედიის თავისუფლება იყო. დღეს ხელისუფლება არცერთ ტელევიზიას არ ფლობს. მედიას მოვუწოდებ, იმ ტოტს ნუ ჭრის, რომელზეც ზის. ეს თავისუფალი სივრცე შეირგონ, თორემ ამ თავისუფლების ალტერნატივა ისევ ტერორი და შევარდნებია! ჩვენ ამას არ ვიზამთ, მაგრამ პროცესი იქამდე მიდის, შესაძლოა, ხალხში მოთხოვნა გაჩნდეს, მკაცრი ხელია საჭირო და ტელევიზიებს მიხედეთო.

— **მეუბნებით, რომ ხალხი მოითხოვს, რომელიმე ტელევიზიაში შეხვიდეთ?**

— ზოგადად ვამბობ, ხალხში მოთხოვნა გაჩნდება — ხელისუფლება ხართ, ადექით და იმოქმედეთ, რომ ეს კამპანია შეაჩეროთო. ეს იმის საფუძველი იქნება, ამ ტალღაზე ახალი ჯგუფი მოვიდეს, რომელიც ამ მოთხოვნებს თავისასაც დაუმატებს და ტელევიზიებში შევარდება. ზუსტად ესაა ტოტალიტარიზმი და დიქტატურა.

— **კარგად ვერ გავიგე — მედიას როგორ აფრთხილებთ?**

— ვაფრთხილებ, შეირგოს ეს თავისუფალი სივრცე! ახლა ამ თავისუფლებისგან ისტერიკაში არიან.

— **ნაციონალებმაც ასე მიიჩნიეს 2007 წელს და „იმედი“ დაარბიეს.**

— ახლა ყველა ერთად, ხმაშეწყობილად მხოლოდ ნეგატივს აშუქებს. სურთ, ქვეყანაში ქაოტური მდგომარეობა შეიქმნას. ალბათ, ყველაზე უკეთ ნეგატიური ინფორმაცია „იყიდება“. თუმცა ბალანსიც ხომ უნდა დაიცვან?!

— **ამ ფრაზას ისე გაიგებენ, რომ ტელევიზიების დაწიოკებას აპირებთ!**

— არა, უბრალოდ, ვამბობ, რომ ეს თავისუფლება უნდა შეიფერონ, რადგან ამის ალტერნატივა სწორედ ქაოსია. ხალხს თუ მათი გაჩერების მოთხოვნილება გაუჩნდება, შემდგომი ხელისუფლება ამ მოთხოვნას შეასრულებს!

— **შემდეგიც თქვენ რომ იყოთ?**

— მარადიულად ჩვენ ხომ არ ვიქნებით ხელისუფლებაში. აქ მეორე ვადა არ იგულისხმება. თუმცა არ მოგატყუებთ, ვინც პოლიტიკაშია, უნდა, მეორე ვადითაც აირჩიონ. ეს არ ნიშნავს, რომ სკამებს ჩავებღაუჭებით. ხელისუფლებამ აქაც ბეწვის ხიდზე უნდა გაიაროს.

— **ფაქტია, ამას ვერ ახერხებთ, რადგან პატრიოტთა ალიანსი მარტიდან პერმანენტული აქციებით იმუქრება.**

— საერთოდ, ჯობდა, ეს აქცია პარტიას კი არა, რომელიმე აპოლიტიკურ ორგანიზაციას გაეკეთებინა, მეტი ხალხი მივიდოდა. როგორც ვიცი, ეს ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული აქცია არც ყოფილა. მოთხოვნებიცა და ტერაქტზე რეაქციაც აბსოლუტურად ადეკვატური იყო.

— **თუ მარტიდან პროცესი უფრო მასშტაბური გახდა, რატომაა გამორიცხული, ვადამდელი არჩევნების ჩატარების აუცილებლობა დადგეს? ითქვა, „ოცნება“ რიგგარეშე არჩევნების ჩასატარებლად მიზეზს ეძებსო.**

— მიზეზს რომ ვეძებდეთ, აქამდეც ვიპოვიდით. არც ვადამდელი არჩევნების ჩატარებას გამოვრიცხავთ, ამაზეც წავალთ, თუ საზოგადოების მოთხოვნა იქნება და ვითარებას განმუხტავს. თუმცა სჯობს, საარჩევნო ციკლი ბოლომდე მივიყვანოთ და თან, არ მგონია, პარტიები მზად იყვნენ. ამის გაკეთება 2012 წლის არჩევნებიდან რამდენიმე თვეშიც შეიძლებოდა, თუმცა ამას დასავლეთი ვერ გაიგებდა.

— **ახლა შეიძლება, თქვენ გამოგყარონ ხელისუფლებიდან.**

— პარლამენტიდან გამოსაყრელი არაფერი გვჭირს, არც სკამებს ვეჭიდებით და არც ვადამდელ არჩევნებზე ვამბობთ უარს. პირიქით, ეს შეიძლება, კარგიც იყოს: ბევრი რამე გაიწმინდება, ხალხი ხმას ეიფორიის გარეშე მისცემს. არჩევნების დროზე ჩატარებას ერთადერთი პლუსი აქვს — საარჩევნო ციკლი დასრულება.

— **ამასწინ, ჯონდი ბაღათურიამ თქვა, მალე, კაბინეტებში შევალთ და საყვარლებიანად გამოვათრევთო.**

— მოვიდეს და სცადოს, აბა! ჩვენი თანამებრძოლი იყო, შემოვიდეს, ნახოს, რას ვაკეთებთ. ჩვენ კი, ბუნებრივია, კანონის ფარგლებში ვიმოქმედებთ.

— **სამართლიანობის აღდგენის კონტექსტში ერთსაც გკითხავთ: თუმანიშვილის თეატრიდან ექსდეპუტატი გია როინიშვილის ქეთი დოლიძის მიერ გამოგდება სამართლიანობის აღდგენა და ღირსების დაბრუნება იყო?**

— ქეთი დოლიძე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია და მან გია როინიშვილთან ხელშეკრულება აღარ გააგრძელა. იურიდიულად, ამის უფლება ჰქონდა. ითქვა, რომ ბოლო ხანებში იგი სპექტაკლებშიც აღარ თამაშობდა, მიწვევებზეც უარს ამბობდა, თუმცა დეტალები მათი საქმეა. გიას პირველ კურსზე მეც ვასწავლიდი. ნიჭიერი ბიჭია. ახლა რომ ვდგამდე სპექტაკლს, აუცილებლად დავაკავებდი და პოლიტიკური სიმპათიის გამო არანაირი პრობლემა არ მექნებოდა. თუმცა არ ვიცი, თეატრში რა ვითარებაა.

— **ზესტაფონის თეატრშია საინტერესო ვითარება — კამეჩი დადის და ამის ამსახველი ფოტოებიც ვრცელდება. ამ დროს, ზესტაფონის მაჟორიტარი გოგი ქავთარაძეა... „დაჭერებს“ კულტურაც უნდა გადავაყოლოთ, თუ რაიმე სასიკეთო ძვრები ამ სფეროშიცაა? მინისტრ მიშა გიორგაძის დაბარებას როდის აპირებს თქვენი კომიტეტი?**

— ეს გოგი ქავთარაძის კი არა, მუნიციპალიტეტის პრობლემაა. გოგი ქავთარაძე მეხრედ ხომ არ აურჩევიათ, კამეჩს დაუდარაჯდეს და გამოაგდოს! ვერავის მოქმედებას ან უმოქმედობას რევიზიას ვერ გავუკეთებ. ყველა თავის საქმეს აკეთებს. მთავარია, რა ხდება თეატრის შიგნით. როგორც ვიცი, რეჟისორი ნინო ლიპარტელიანია, რომელიც ჩემი ასისტენტი იყო და ვიცი, მშრომელი და თავდაუზოგავი ადამიანია. არც მიშა გიორგაძის პარლამენტში დაბარებაა პრობლემა. ამის უფლება გვაქვს და მასაც აქვს პარლამენტისთვის ანგარიშის ჩაბარების ვალდებულება. სხვათა შორის, ახლახან „მარიოტში“ კულტურის სამინისტროს სტრატეგიის პრეზენტაციაც შედგა. მინისტრი პასუხისმგებლობას არცერთ თემაზე არ გაექცა და ცდილობს, თანმიმდევრული პოლიტიკა გაატაროს.

ვერსიანიუსი

## სულხან მოლაშვილს, კომპენსაციის გადასახდელად, იუსტიციის სამინისტრომ 22 ათასი ევრო გამოუყო



პრემიერ-მინისტრის ბრძანების თანახმად, აღნიშნული თანხა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას მოხმარდება.

22 ათას 223 ევრო იუსტიციის სამინისტროს წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გამოეყო.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „სულხან მოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ განაჩენი 2014 წლის 30 სექტემბერს გამოიტანა. გადაწყვეტილების თანახმად, კონტროლის პალატის ყოფილი ხელმძღვანელის სასარგებლოდ ხელისუფლებას კომპენსაციის სახით 20 ათასი ევროს გადახდა დაეკისრა. ხელისუფლება ასევე ვალდებულია, 1 წლის ვადაში მოლაშვილის საქმის ხელახალი გამოძიება ჩაატაროს და მის წამებაში მონაწილე პირები დასაჯოს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონტროლის პალატის ყოფილი ხელმძღვანელი ევროპული კონვენციის ოთხი მუხლით გაამართლა.

*„პირველი“*

## მიხეილ სააკაშვილი უკრაინის ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელობისთვის კონკურსში მონაწილეობას აპირებს



საქართველოს ექსპრეზიდენტი მიიჩნევს, რომ საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლის ფრონტი დღეს უკრაინაზე გადის და კორუფცია უკრაინისთვის რუსულ ჯარსა და ტანკებზე არანაკლები მტერია.

მისივე თქმით, მისი პროგრამა წარმატებულ ქართულ გამოცდილებაზე იქნება დამყარებული.

ამასთან, საქართველოს ექსპრეზიდენტი საერთაშორისო კავშირების გამოყენებას აპირებს, რათა პირველ რიგში, უკრაინაში საზღვარგარეთიდან იანუკოვიჩის კორუმპირებული დაჯგუფების აქტივების დაბრუნების საკითხი გადაწყდეს.

*„პირველი“*



# პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იზრდება

## რომელ კომპანიებს შეხვდა დავოსის ფორუმზე და რას ურჩევს პოლიტიკოსებსა თუ ექსპერტებს საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი გიორგი პერტაია

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**ამბობს, რომ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობა გაიზარდა. პოლიტიკოსებსა და ექსპერტების ნაწილს კი მოუწოდებს, დაასახელონ წყარო, რის საფუძველზეც აცხადებენ, რომ ინვესტიციები შემცირდა, რადგან მათი ასეთი განცხადებები ბიზნესკლიმატს ვნებს. რა შედეგით დაბრუნდა საქართველოს დელეგაცია დავოსის ეკონომიკური ფორუმიდან? „ვერსიას“ ექსკლუზიურ ინტერვიუში, საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი გიორგი პერტაია ესაუბრება.**

**— ბატონო გიორგი, კონკრეტულად, რომელ მსხვილ კომპანიებს შეხვდით დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე?**

— დროის სიმცირის გამო, ავირჩიეთ სტრატეგია, ძირითადად, ისეთ კომპანიებს შევხვედროდით, რომლებიც საქართველოში ჯერ არაა წარმოდგენილი. საინტერესო შეხვედრა გავმართეთ კორეულ, ძლიერ კომპანია „ჰანვა გრუპთან“. მას კონტრაქტი აქვს „ჯენერალ მოტორსთან“, „ფორდთან“, „ჰიუნდაისთან“. მანქანის ნაწილებს აწარმოებს, ოღონდ თანამედროვე ტექნოლოგიებით, ასევე წარმოდგენილები არიან ენერგეტიკითა და ლოგისტიკური მომსახურებით. ყველაზე დიდი და ახალი უპირატესობა, რაც დღეს საქართველოს აქვს, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაა ევროკავშირთან. ვფიქრობ, ბევრი აზიური მწარმოებელი დაინტერესებულია, საქართველოში წარმოებული პროდუქციით ევროკავშირის ბაზარზე შევიდნენ. საინტერესო შეხვედრა გვქონდა „დრეიფუსთან“. 64-მილიარდიანი, მსოფლიოს 100 ქვეყანაში წარმოდგენილი ეს კომპანია, სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობს. მალე მისი სამუშაო ჯგუფი ჩამოვა საქართველოში. უკვე გვაქვს მიმოწერა, რათა მისი წარმომადგენლები ჩამოვიყვანოთ და კონკრეტულად, ადგილზე შეისწავლონ ჩვენი ქვეყანა. დავოსში იმ კომპანიებსაც შევხვდით, რომლებიც უკვე არიან საქართველოში. მაგალითად, „ტატა გრუპს“. აღვნიშნეთ, რომ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის გარდა, სხვა პროექტებზეც უნდა დავიწყოთ მუშაობა. „ტატას“ ძალიან ბევრი მიმართულება აქვს, სასტუმროებიდან დაწყებული, ქიმიური წარმოებით დამთავრებული. საინვესტიციო სააგენტო KPMG-თან ერთად, ქიმიურ მრეწველობაზე კვლევას ატარებს, რათა ქიმიური წარმოების ის პროდუქტი წარმოაჩინოს, რომლებიც შესაძლოა საქართველოში ვაწარმოოთ და მსოფლიო ბაზარზე კონკურენტული პროდუქტი გახდეს. დაახლოებით, ორ-სამ თვეში კვლევა მზად გვექნება და წარვუდგენთ „ტატა გრუპს“. ამაზე უკვე შევთანხმდით. ასევე „ტატა გრუპი“ დაგვეხმარება, ინდოეთსა და, ძირითადად, ქალაქ მუმბაიში მსხვილი კომპანიების წარმომადგენლებს შევხვდეთ და კონკრეტული საინვესტიციო პროექტები გავაცნოთ.

დავოსის ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში, „ჯინდალ გრუპსაც“ შევხვდით, რომელიც ინდოეთში საკმაოდ ცნობილი ოჯახური ბიზნესის წარმომადგენელია. საქართველოში „ჯინდალ გრუპი“, როგორც მოპოვების, ასევე რკინის გადამუშავების მიმართულებით მუშაობს. ვიცი, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაშიც გარკვეული ინტერესი აქვს. ამ პროცესში კომპანიას პრემიერ-მინისტრმა მხარდაჭერა აღუთქვა და ჩვენც შესაბამისად ვეხმარებით ენერგეტიკის სფეროში პროექტების შერჩევაში. შევხვდით BP-ს წარმომადგენლებსაც, ვისაუბრეთ ახალ პროექტზე, რომლითაც საქართველოში დიდი ინვესტიცია უნდა ჩაიდოს და ბევრი ადამიანი დასაქმდეს. BP-ს ხელმძღვანელობასთან შეხვედრა ყოველთვის საინტერესოა — ეს იმდენად დიდი კომპანიაა, კარგა ხანია, ბიზნესის ფარგლებს გასცდა და გეოპოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა. შევხვდით ასევე ორ ინდურ კომპანიას — HCL-სა და „ტექ მაჰინდრას“. ორივე საინტერესოა, რადგან IT/BPO (ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ბიზნესპროცესების აუთსორსინგი) კომპანიები არიან. მარტივად რომ ვთქვათ, დიდი ხანია, ამერიკის, ევროპისა და პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული მსხვილი კომპანიები, საკუთარი სერვისების აუთსორსინგს ახორციელებენ. თავის დროზე, ეს პროცესი დიზაინის გაკეთებით დაიწყო, სადაც ინდოეთმა ლიდერის პოზიცია მოიპოვა. ამის შემდეგ განვითარდა ცხელი ხაზის, სატელეფონო და ონლაინმომსახურების მიმართულებითაც. დღეს უკვე ყველა სერვისის აუთსორსინგია შესაძლებელი, ინვოისების შევსებით დაწყებული, მონაცემთა ბაზების მართვითა და პრეზენტაციის ფორმატში, გარკვეული მონაცემების ჩადებით დამთავრებული. იმდენად საინტერესო ბიზნესია, ნებისმიერი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ცოდნა შემოაქვს. რაც მთავარია, დიდი რაოდენობით სამუშაო ადგილს ქმნის. ამ ბიზნესის მთავარი ხიბლი კი ტრენინგები და სწავლებაა. ეს კომპანიები წელიწადში დაახლოებით 100 000 ადამიანს ქირაობენ. ამ ეტაპზე შევთანხმდით, წინასწარი ინფორმაციის მისაღებად, კომპანიები 10 კითხვას გამოგვიგზავნიან, როგორც კი ვუპასუხებთ, სპეციალური სამუშაო ჯგუფები ჩამოვლენ და ბაზარს შეისწავლიან. პარალელურად, საინვესტიციო სააგენტო ატარებს სპეციალურ კვლევას ამ მიმართულებით, რომლის შედეგად ამ იდეის ტექნიკურ დასაბუთებას განვახორციელებთ. შესაბამისად, ამ მიმართულებით, ჩვენი ქვეყნის უპირატესობებიც გამოჩნდება.

**— ბოლო დროს, სხვადასხვა პოლიტიკოსი და ცალკეული ექსპერტები ინვესტიციების რაოდენობის სიმცირეზე საუბრობენ. სინამდვილეში რა ხდება, შემცირდა თუ არა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები?**

— პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იზრდება. გაკვირვებული ვარ, რადგან ხშირად ვისმენ რეპლიკებს პოლიტიკოსებისგან, რომ ინვესტიციები მცირდება და არაფერი მუშაობს. „არაფერი მუშაობს“, — ეს ზოგადი, ზედაპირული განცხადებაა და კომენტარს ვერ გავაკეთებ. რაც შეეხება ინვესტიციებს, პირდაპირ გეტყვით, არ მცირდება. რაც უნდა თქვას პოლიტიკოსმა, აუცილებლად წყარო უნდა დაასახელოს, თორემ მეც შემიძლია ვთქვა, რომ მაგალითად, საქართველოში 5-მილიარდიანი ინვესტიცია შემოვიდა, რაც ტყუილი იქნება. რის საფუძველზე აცხადებენ პოლიტიკოსები, რომ ინვესტიციები შემცირდა? ვთქვათ, რამდენიმე ბიზნესმენთან მივიდნენ, რომლებმაც უთხრეს, ჩვენთან არაფერი ხდება და გაჩერებულები ვართო. ეს არ აძლევს საშუალებას, მონაცემები განაზოგადოს. წყაროს დასახელების გარეშე განცხადება, რომ ინვესტიციები შემცირდა, ბიზნეს-კლიმატს აზიანებს. დარწმუნებული ვარ, ასეთი რამ არც მათ უნდათ, რადგან პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ჯანსაღი ბიზნესგარემო, ყველას სჭირდება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დათვლის ერთადერთი წყარო სტატისტიკის ეროვნული სამსახური — „საქსტატია“. გარკვეული ციფრი რომ დაგისახელოთ ინვესტიციების ნაწილში, არ უნდა დამიჯეროთ, რადგან საინვესტიციო სააგენტო „საქსტატი“ არ არის. მე მხოლოდ იმ მონაცემებს გეტყვით, რაც ვიცი. ანუ, იმ ინვესტიციებს დაგისახელებთ, რომლებთანაც შეხება მაქვს. არადა, უამრავი ინვესტორი შემოდის საქართველოში საინვესტიციო სააგენტოსა და თუნდაც მთავრობის გარეშე, ზოგი პირდაპირ ენერგეტიკისა თუ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან აწარმოებს მოლაპარაკებას, რაც ძალიან კარგია. ზოგადად, აუცილებელი არ არის, მაინც და მაინც ჩვენთან მოვიდნენ. ამით იმის თქმა მინდა, რომ შესაძლოა, ისეთი ინვესტიციებიც არსებობდეს, რაც ჩვენც კი არ ვიცით. ერთადერთი წყარო „საქსტატია“, რომელიც გვიჩვენებს, რომ 2014 წლის მესამე კვარტალში, ინვესტიციების ნაწილში დიდი ზრდა გვაქვს. ოფიციალური სტატისტიკით, გასული წლის სამ კვარტალში იმდენი ინვესტიცია შემოვიდა საქართველოში, რამდენიც მთელ 2013 წელს დაფიქსირდა. ეს ნიშნავს, რომ ინვესტიციები იზრდება. სხვა საკითხია, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და უმუშევრობის დონის დაწევაზე თუ იქონიებს გავლენას. ინვესტიციები იზრდება, მაგრამ უფრო მეტია საჭირო, მინიმუმ 2 მილიარდამდე მაინც უნდა ავიდეთ, რომ ამას მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა მოჰყვეს და დასაქმებაზეც საგრძნობლად აისახოს.

**— ამ კითხვის პირდაპირი ადრესატი არ ხართ, მაგრამ რადგან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სიჭარბე ლარის კურსის სტაბილურობას იწვევს, პოლიტიკოსები სწორედ ამ კონტექსტში აცხადებენ, რომ ლარის დევალვაციის ერთ-ერთი მიზეზი ინვესტიციების სიმცირეა.**

— ასე არ არის და არასწორ ინფორმაციას აწვდიან მოსახლეობას. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი რამდენიმე კომპონენტისგან ფინანსდება. აქედან პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ერთადერთია, რომელიც რეალურად იზრდება. ამ კომპონენტებს შორისაა ტურიზმი, ფულადი გადმორიცხვები, რომელიც შემცირდა, რადგან იმ ქვეყნებშია კრიზისი, საიდანაც ფულადი გზავნილები შემოდის. ამ საკითხებზე არაერთი კომენტარი გააკეთეს მთავრობის წევრებმა თუ ექსპერტებმა.

**— დავით ონოფრიშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ ის ადამიანები, რომლებმაც ეკონომიკური მიმართულების თანამდებობა დატოვეს, ინვესტორებს შემოსვლაში ხელს უშლიდნენ და ინვესტირების პროცესებს ამუხრუჭებდნენ. გსმენიათ, რომ მთავრობის კანცელარიაში, ეკონომიკური პროფილის რომელიმე მაღალჩინოსანი ინვესტორებს ხელს უშლიდა?**

— ჩვენთან მოსულ არცერთ უცხოელ ბიზნესმენს, ასეთი პრობლემები არ ჰქონია. რთულია, უცხოელს რამე დაუშავო და მერე გააჩუმო, რადგან როგორც წესი, არაფრის თქმის პრობლემა არ აქვთ. თუ რაღაც არ მოსწონთ, ღიად აფიქსირებენ. მსგავსი რამ არ მსმენია.

**— ენერგეტიკაში მსხვილი საინვესტიციო პროექტები შეჩერდა, ვგულისხმობ ხუდონჰესის მშენებლობას და თუნდაც „ტატა გრუპს“, რომელიც აჭარაში ჰესების კასკადს აშენებს და რომელსაც გარკვეული პრობლემები შეექმნა. დაიძრა ეს საკითხები?**

— გეთანხმებით, წელს განსაკუთრებით მტკივნეულად დადგება ეს საკითხი, რადგან ასეთ მსხვილ პროექტებზე უარი არ შეიძლება. დარწმუნებული ვარ, ხალხმა, რომელიც ხუდონჰესის მშენებლობას ეწინააღმდეგებიან, არ იცის რაზე ამბობენ უარს. ქვეყნის მთავარი პრობლემა უმუშევრობაა. მისი მოგვარების ერთადერთი საშუალება კი ძლიერი ენერგეტიკაა, რომელიც პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში საწარმოებისა და ზოგადად, სამუშაო ადგილების შექმნასთან. რაც შეეხება „ტატა გრუპს“, პატარა პრობლემები აქვს, მაგრამ, როგორც ვიცი, დღეს სამშენებლო ობიექტზე დაქირავებული ადამიანების რაოდენობით, საქართველოში პირველ ადგილზეა. ჩემი ინფორმაციით, სამუშაოები მიმდინარეობს. მცირე შეფერხებებიც არის, მაგრამ ამის გარეშე პროექტი არ არსებობს. ენერგეტიკის სამინისტრო მხარში უდგას ამ პროექტს. ვფიქრობთ, ამ სამინისტროს ინდივიდუალურმა მიდგომამ, ანუ თითოეულ ინვესტორთან მუშაობამ, რეალური შედეგი გამოიღო. გვიხარია, რომ ჰიდროელექტროსადგურები ერთ-ერთი, ყველაზე პოპულარული საინვესტიციო პროდუქტია საქართველოში.

ვერსიანიუსი

## დიდი ოდენობის ოქროს ნაკეთობების უკანონოდ გადმოტანის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს



ბრალდებულმა „სადახლოს“ გავლით ავტომანქანაში სპეციალურად მოწყობილი სამალავით, საქართველოს ტერიტორიაზე დიდი ოდენობის ოქროსგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობები შემოიტანა.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, დანაშაულებრივ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის პირველი ნაწილით გრძელდება, რაც თავისუფლების 3-დან 5 წლამდე ვადით აღკვეთას ითვალისწინებს.

*„პირველი“*

## ტექდათვალიერების ვალდებულება ორი წლით გადაიწევს

შესაბამისი კანონპროექტი მთავრობის ინიციატივით პარლამენტს უკვე წარედგინა, რომლის განხილვაც დაჩქარებული წესით იგეგმება. „საგზაო მოძრაობის შესახებ“ ჯერ კიდევ მოქმედი კანონის თანახმად, საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერება სავალდებულო მიმდინარე წლის 1 მარტიდან ხდება. პარლამენტში წარდგენილი პროექტის მიხედვით კი, ეს ვადა 2017 წლის 31 დეკემბრისთვის გადაიწევს.

ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით, გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო ტესტირებას მხოლოდ ის სატრანსპორტო საშუალებები ექვემდებარება, რომლებიც ახორციელებენ ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას, საერთაშორისო გადაყვანა-გადაზიდვას, სახიფათო ტვირთის გადაზიდვას და რომელთაც სამი ტონა და მეტი ტვირთამწეობა გააჩნიათ. ყველა სხვა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელისათვის ტექდათვალიერების განხორციელება ნებაყოფლობითია.



**bpn.ge**

# ინტერვიუ თურქეთის რესპუბლიკის სრულუფლებიან და საგანგებო ელჩთან



მაკა ლომაძე, 555-27-95-13

**ზექი ლევენთ გუმრუქჩუ თურქეთის ელჩია საქართველოში. მისი აღმატებულება „ვერსიას" ესაუბრება თურქეთისა და საქართველოს სტრატეგიულ თანამშრომლობაზე და ყველა იმ საკითხზე, რაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში იკვეთება.**

## ზექი ლევენთ გუმრუქჩუ: „კონფლიქტურ რეგიონში ჩვენ კარს ვუღებთ ერთმანეთს. ეს უპრეცედენტო შემთხვევაა"

— 5-10 იანვარს, ანკარაში ამბასადორიალი ჩატარდა. როცა ჯერი სამხრეთ კავკასიაზე მიდგა, მთხოვეს, პატარა პრეზენტაცია გამეკეთებინა საქართველოზე და საქართველო-თურქეთის ურთიერთობებზე. ვთქვი, რომ ჩვენი ურთიერთობის დასახასიათებლად საუკეთესო გზა სტრატეგიული პარტნიორობაა. თურქეთი საქართველოსათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მისი უზარმაზარი სავაჭრო და საინვესტიციო პოტენციალით ან იმით, რომ იგი ევროპაში გაჭრილი კარია, არამედ იმითაც, რომ თურქეთსა და საქართველოს ერთმანეთთან აკავშირებს მსგავსი ფასეულობები, ინტერესები და ბედისწერა. საქართველო ასევე მნიშვნელოვანია თურქეთისთვის. ხალხებს შორის განსაკუთრებული კავშირები, რეგიონში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით ერთობლივი პოზიცია, იდენტური სამომავლო ხედვა, ენერგეტიკასა და სატრანსპორტო სფეროში განხორციელებული ისტორიული მნიშვნელობის სტრატეგიული პროექტები, მტკიცედ აკავშირებს ერთმანეთთან ჩვენს ქვეყნებს. ჩვენი მთავარი ენერგოხაზები სწორედ საქართველოს გავლით გადის, იქნება ეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზრუმის ბუნებრივი გაზსადენი, თუ გიგანტური ტრანსანატოლიური პროექტი, რომელზეც ახლა ვმუშაობთ. საქართველო მნიშვნელოვანია სატრანსპორტო დერეფნის კუთხითაც, რადგან აზერბაიჯანში, რუსეთსა და ცენტრალურ აზიაში მიმავალი ათასობით თურქი გადამზიდავი სარგებლობს თქვენს ქვეყანაზე გამავალი მარშრუტით. როცა ამოქმედდება ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი, განუზომლად გაიზრდება საქართველოს გავლით ტრანსპორტირების მაჩვენებელი, როგორც ცენტრალური აზიის, ისე შორეული აღმოსავლეთის მიმართულებით. ეს ყველაფერი განაპირობებს საქართველოსთან ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორობას. ამიტომ, ლიტონი სიტყვები არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ საქართველოს განვითარება და სტაბილურობა ჩვენთვისაც ისევე მნიშვნელოვანია, როგორც თქვენთვის — თურქეთის განვითარება. ბოლო წლებში, ეს ორი ქვეყანა ძალიან გადაჯაჭვული გახდა. ეს დაბალანსებული ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობაა. ბოლო 15-10 წლის განმავლობაში თურქეთმა ერთ მილიარდამდე ინვესტიცია შემოიტანა საქართველოში. შესაბამისად, შემიძლია დაზუსტებით გითხრათ, რომ თურქეთი საქართველოში ყველაზე დიდი ინვესტორი ქვეყანაა.

**— რა მნიშვნელობა აქვს ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტს, რომლის განხორციელებაზეც დიდი ხანია საუბრობენ?**

— ხელშეკრულებას ხელი 2007 წელს მოეწერა ხელი. ბაქო-თბილისი-ყარსის მაგისტრალი და ბოსფორის სრუტის ზღვისქვეშა გვირაბი „მარმარაი", რომელიც თურქეთის აზიურ ნაწილს აკავშირებს ევროპულთან, ერთ-ერთი ნაკლული ბმული იყო პეკინსა და ლონდონს შორის უწყვეტი სარკინიგზო ხაზის შემადგენლობაში. ორი წლის წინ, დასრულდა „მარმარაის" მშენებლობა და დაგვრჩა სწორედ ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი. სამწუხაროდ, ბევრი შეფერხება იყო ამ პროექტის განხორციელებისას. 2012 წლის ბოლოსთვის უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ჯერ 2014 წლისთვის გადაიდო და საბოლოოდ,

2015 წლის ბოლოსთვის დასრულება იგეგმება. დღეს, თურქეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე სამუშაოები სწრაფ ტემპში მიმდინარეობს და რაც მთავარია, არსებობს სამივე ქვეყნის პოლიტიკური ნება და ხედვა — ეს ისტორიული და სტრატეგიული პროექტი დასრულდეს ამ წლის ბოლომდე. ახლახან, ახალქალაქი-კარწახის მონაკვეთზე უკვე გაიარა პირველმა სატესტო მატარებელმა. ამ უდიდესი სტრატეგიული პროექტის განხორციელებით თურქეთი, საქართველო და აზერბაიჯანი გახდება ორგანული ხიდი ევროპასა და აზიას შორის.

**— რა იქნება ამ პროექტის მთავარი სარგებელი?**

— ბევრად გაიოლდება ტვირთებისა და ადამიანების გადაადგილება. რკინიგზის ფუნქციონირება დადებითად აისახება ქვეყნებისა და რეგიონების ინფრასტრუქტურაზეც. რადგან სარკინიგზო კავშირი გაზრდის სავაჭრო ბრუნვასა და ადამიანების მიმოსვლას, პოლიტიკაზეც მოახდენს გავლენას და ქვეყნებს მეტად დაახლოვებს ერთმანეთთან. ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტი მნიშვნელობით მეტ-ნაკლებად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანს უტოლდება. თუ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი ემსახურება კასპიის ზღვის ნავთობისა და გაზის ენერგომატარებლების გადაზიდვას, საქართველოსა და თურქეთის გავლით, დასავლეთის ბაზრებისაკენ, ბაქო-თბილისი-ყარსი იგივე როლს შეასრულებს ტრანსპორტის სფეროში. მაგრამ ამ პროექტის უდიდესი მნიშვნელობა ისაა, რომ კვლავ დაფიქსირდეს სამ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაძლიერების სურვილი და ხაზგასმით აღინიშნოს, რომ იგი სარგებელს რეგიონსა და მსოფლიოს მოუტანს. სამწუხაროდ, ამ რეგიონში ასეთი ცივილური დამოკიდებულება იშვიათია — უფრო, კონფლიქტისა და დაპირისპირების ენით საუბრობენ. მეტი ყურადღება ექცევა უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ჩვენ, სამი ქვეყანა კი, ერთმანეთს კარს ვუღებთ. ვაუქმებთ სავიზო ხელშეკრულებებს და საპასპორტო რეჟიმს. დღეს საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 20% თურქეთზე მოდის. ვფიქრობ, ქართველი ხალხისთვის ეს სასარგებლო ურთიერთობებია. თურქეთიდან ბევრი ინვესტიცია შემოდის, რადგან გამარტივებული რეჟიმის გამო, საქართველოში ჩამოსვლა იოლია და კარგი საინვესტიციო გარემოა. ესაა ევროპაც — უარი კონფრონტაციაზე და წინ სიარული, რათა რაც შეიძლება მეტი სარგებელი მოუტანონ ერთმანეთს. ჩვენი რეგიონისთვის კი ეს რაღაც ახალი და მართლაც უპრეცედენტო შემთხვევაა.

**— ამ ფონზე, რატომ არ ხდება თურქეთი ევროპის ნაწილი?**

— ჩვენ 2005 წლიდან ვართ კანდიდატი ქვეყანა და ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს ევროკავშირთან. საქმე ისაა, პროცესის სასურველი ტემპითა და ეფექტურობით წარმართვას გარკვეული პოლიტიკური დაბრკოლებები და სხვადასხვა წრის ვიწრო პირადი ინტერესები აფერხებს. მჯერა, მალე გადავლახავთ ამ პრობლემებს.

**— არის თუ არა რელიგია დამაბრკოლებელი? ქვეტექსტების გარეშე, ეს კითხვა იმიტომ ჩნდება, რომ ევროპა ქრისტიანულ სახელმწიფოთა ერთობაა.**

— საინტერესო კითხვაა... შესაძლოა, სირიის მოვლენებმა და ექსტრემიზმმა გამოიწვია დაყოფა, მაგრამ ყველა რელიგია მაინც ერთსა და იმავეს ქადაგებს. ტერორისტებს საერთო არაფერი აქვთ ისლამთან. დიახ, თურქეთის მოსახლეობის 98% მუსლიმია, მაგრამ ჩვენ არაერთხელ დავამტკიცეთ, რომ ისლამი და დემოკრატია ერთმანეთთან ჰარმონიაშია და ამის ცოცხალი მაგალითი ვართ. ჩვენი მოსახლეობა ევროპულ კურსს უჭერს მხარს. დემოკრატია არ იყოფა რელიგიური ნიშნით. დემოკრატიას აქვს ღირებულებები. ევროპა ღირებულებათა სისტემაა და არა მხოლოდ კონტინენტი. და თუ ევროკავშირი დემოკრატიის პლაცდარმია, არ მესმის, რატომ არ უნდა ვიყოთ მათთან. ჩვენ ხომ სრულიად ვიზიარებთ მათ ფასეულობებს, როგორიცაა: თანამედროვე ცივილიზებული სამყარო, კანონის უზენაესობა, ადამიანთა უფლებების პატივისცემა, ხალხის მიმართ მთავრობის ანგარიშვალდებულება... როცა საუბარი დაიწყო კანდიდატ ქვეყნად თურქეთის მიღებაზე, შეხვედრას მთელი მსოფლიოდან დაესწრნენ ჟურნალისტები. ეს ნიშნავს, რომ თურქეთის გაწევრიანება ევროკავშირში ყველასთვის საინტერესოა. მსოფლიოში ხალხებს სურთ დაინახონ, რომ ინტეგრაცია ხდება რაიმე ნიშნით დაყოფის გარეშე, მხოლოდ უნივერსალური ღირებულებების საფუძველზე. ასევე, ისლამი ევროპის რეალობაცაა — გერმანიაში, საფრანგეთსა თუ ინგლისში უამრავი მუსლიმი ცხოვრობს. ევროკავშირის ინტერესებშიცაა, დაამტკიცოს, რამდენად დემოკრატიული შეუძლია იყოს. 1990-იანი წლების დასაწყისში, ედუარდ შევარდნაძეს, ამერიკის ელჩმა რუსეთში უთხრა:

*დასასრული მე-8 გვერდზე*



# ლუდის მწარმოებლებმა აქციზის გადასახადის ზრდა გააპროტესტეს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**ლუდის მწარმოებელი კომპანიების — „ნატახტარის", „ზედაზენისა" და „კასტელი საქართველოს" წარმომადგენლები ლუდზე აქციზის გადასახადის გაზრდას აპროტესტებენ. ლუდის მწარმოებლებმა საინფორმაციო კამპანიის — „არ გამიძვირო ლუდი" ფარგლებში, „რედისონ ბლუ ივერიაში" პრესკონფერენცია გამართეს.**

## საინფორმაციო კამპანია — „არ გამიძვირო ლუდი" — დაიწყო

„ნატახტარის", „ზედაზენისა" და „კასტელი საქართველოს" წარმომადგენლებმა, ლუდზე აქციზის გადასახადის 50%-ით ზრდა უარყოფითად შეაფასეს. ფინანსთა სამინისტროს ეს გადაწყვეტილება ძალაში 2015 წლის 1 მარტიდან უნდა შევიდეს. ლუდის მწარმოებლები აცხადებენ, რომ მთავრობის წევრები აქციზის გადასახადის ზრდის აუცილებლობას, ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით ხსნიან.

**„ასოცირების შეთანხმებით, საქართველოს ეკისრება ვალდებულება, 100 ლიტრ ლუდზე, აქციზის გადასახადი, მინიმუმ, 8.5 ევროს შეადგენდეს. სინამდვილეში, საქართველოში აქციზის გადასახადი უკვე 18.5 ევროა და ევროკავშირის 12 ქვეყნის, მათ შორის, გერმანიისა და ჩეხეთის ანალოგიურ მაჩვენებელს საგრძნობლად აღემატება",** — განაცხადა „ნატახტარის" კორპორატიულ საქმეთა დირექტორმა, **ნიკოლოზ ხუნძაკიშვილმა.**

ლუდის მწარმოებლებს მიაჩნიათ, რომ აქციზის გადასახადის ზრდის ფისკალური ეფექტი მინიმალურია, რომელიც იმ უარყოფით პროცესებს ვერ დააბალანსებს, რაც ამ დარგში განვითარდება. ისინი ვარაუდობენ, რომ აქციზის გადასახადის ზრდას რამდენიმე სახის, ნეგატიური ეფექტი მოჰყვება. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ ლუდის აქციზის გადასახადი 50%-ით გაიზრდება, მომხმარებლებისთვის ლუდი, დაახლოებით, 20%-30%-ით გაძვირდება; წარმოება, ბაზარი და სამუშაო ადგილები შემცირდება; სხვადასხვა სახის, მათ შორის, დამატებითი ღირებულების — დღგ, საშემოსავლო და მოგების გადასახადები შემცირდება; დარგის საინვესტიციო მიმზიდველობა დაიკარგება და ზოგადად, ბიზნესგარემო გაუარესდება.

**„ეს ცვლილება და მცირე ვადა, რომელიც მის გასატარებლად მოგვეცა, ჩვენს ბიზნესს დააზარალებს. თუმცა მაქსიმალურად ვეცდებით, რომ ჩვენს კომპანიაში არსებული სამუშაო ადგილები შევინარჩუნოთ და არცერთი თანამშრომელი არ გავათავისუფლოთ. რეალურად, საქართველოს მთავრობამ აქციზის გადასახადის ცვლილების შესახებ მაშინ მიმართა პარლამენტს, როდესაც ლუდის მწარმოებლების უმეტესობამ 2015 წლის ბიუჯეტის დაგეგმვა თითქმის დაასრულა",** — აღნიშნა „ზედაზენის" კომერციულმა დირექტორმა, **კახა პაიჭაძემ.**

ლუდის მწარმოებელთა მოსაზრებით, ამ ვითარებაში ოპტიმალური გამოსავალი ის არის, თუკი აქციზის გადასახადი ინფლაციის შესაბამისად გაიზრდება. „კასტელ საქართველოს" გენერალური დირექტორის, **ლევან ზაუტაშვილის** განცხადებით, ეს ერთი მხრივ, სახელმწიფოს საშუალებას მისცემს, ეტაპობრივად გაზარდოს ინდუსტრიიდან მისაღები შემოსავალი, ხოლო მეორე მხრივ, მინიმუმამდე დაიყვანს აქციზის გადასახადის ზრდასთან დაკავშირებულ ნეგატიურ ფაქტორებს. რაც მთავარია, დარგს განვითარებისა და შემდგომი ზრდის საშუალება ექნება.

ფინანსთა სამინისტრომ ლუდის მწარმოებელ კომპანიებთან კონსულტაციები 2014 წლის ნოემბერში დაიწყო. თუმცა, როგორც სამივე კომპანიის წარმომადგენლები ამბობენ, სამინისტროში კონსულტაციები მას შემდეგ დაიწყეს, რაც გადაწყდა, რომ აქციზის გადასახადი უნდა გაზრდილიყო. თუმცა კონსულტაციებს შედეგი მაინც მოჰყვა, რადგან ფინანსთა სამინისტრო დათმობაზე წავიდა და აქციზის გადასახადი 100%-ის ნაცვლად, მხოლოდ 50%-ით გაიზრდება. ლუდის მწარმოებლები აცხადებენ, რომ ეს გადაწყვეტილება არც გონივრულია და მით უფრო, არც სამართლიანი, რადგან პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს. ამ ვალდებულების მიხედვით, საქართველოს მთავრობამ ბიზნესთან წინასწარი კონსულტაციებისა და გონივრული ვადის მიცემის გარეშე, გადასახადები არ უნდა გაზარდოს.

ლუდის მწარმოებლები იმასაც ამბობენ, რომ აქციზის გადასახადის ზრდის შემდეგ, საქართველო ევროკავშირის წევრ, 19 ქვეყანას გადაუსწრებს. ლუდზე აქციზის გადასახადის ღირებულება კი ევროკავშირის იმ წევრი სახელმწიფოების მაჩვენებლებს გაუტოლდება, სადაც ანალოგიური გადასახადის მოცულობა მაქსიმალურია, კონკრეტულად, დიდ ბრიტანეთსა და ფინეთში.

# ჯაკუზი — რელაქსის საშუალება თუ საფრთხე ჯანმრთელობისთვის

## თითქმის ყველა ჯაკუზიშია ბაქტერიები, მათ შორის სოკო და მომაკვდინებელი სტაფილოკოკი



თამარ ლომსაძე
599-209401

**კარგა ხანია ჯაკუზი უდიდესი პოპულარობით სარგებლობს და ნაკლებად მოიძებნება ადამიანი, რომელიც რელაქსის ამ საშუალებაზე უარს იტყოდა. შესაბამისად არავის მოსვლია აზრად, რომ იგი შესაძლოა საშიში იყოს ადამიანის ჯანმრთელობისთვის და სერიოზული დაავადებების წყაროსაც წარმოადგენდეს. აშშ-ში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ ჯაკუზი საუკეთესო გარემოა მავნე ბაქტერიების გასავრცელებლად.**

ბოლო პერიოდში, დასავლეთში გააქტიურდა დაავადებები, რომლებიც სწორედ ჯაკუზიში ნებივრობის შედეგად ჩნდება — სეფსისი (სისხლის მოწამვლა), ე.წ. ლეგიონერების დაავადება (ლეგიონელეზი), კანისა და საშარდე გზების ინფექციები, პნევმონია... აქედან გამომდინარე, მოქაფქაფე აბაზანის ირგვლივ ატეხილი ხმაური ალოგიკური და საფუძველსმოკლებული სულაც არ არის.

**ჯაკუზით სარგებლობისას გარკვეული აკრძალვებიც არსებობს, რომელთა შესახებ ხშირად ექიმებსაც არ აქვთ წარმოდგენა. ამგვარი აბაზანის მიღება აკრძალულია მათთვის, ვისაც თირკმელები აწუხებს ან სისხლის გამათხიერებელს სვამს**

რეალური საფრთხის შესაფასებლად, ტეხასის უნივერსიტეტის მიკრობიოლოგმა რიტა ბ. მოისმა ჩაატარა ცდა: აიღო 43 სინჯი აბაზანიდან, მათ შორის როგორც სასტუმროებში, ასევე საკუთარ ბინებში და შედეგები შოკისმომგვრელი აღმოჩნდა: თითქმის ყველა ჯაკუზიში იყო ბაქტერიები, მათ შორის სოკო და მომაკვდინებელი ბაქტერია სტაფილოკოკი. საყურადღებოა ფაქტი, რომ ეს მონაცემები ასახავს მხოლოდ მცირე ნაწილს მიკროორგანიზმებისას, რომელიც ბედნიერად ბინადრობს ჯაკუზიში, ექიმ მოისს სხვა ბაქტერიები და ვირუსები არ გამოუკვლევია!

### საფრთხე — მავნე ბაქტერიები

რა რისკებს შეიცავს ჯაკუზი? — სხვა აბაზანებისგან განსხვავებით, მასში არის საჰაერო და წყლის სისტემა; სწორედ ეს მილებია იდეალური ადგილი ბაქტერიების გასამრავლებლად. მერე რა, თავად ჭურჭელი სველი წესით რომ დეზინფეცირდება, მილების ფილტრაცია მეტად რთულია და არცთუ ეფექტური. აბაზანის ზეთი, საპონი, კოსმეტიკური საშუალებები მილებში ხვდება, ილექება და ქმნის ერთგვარ ბიოფენას, რომელშიც უამრავი მიკროორგანიზმი მრავლდება.

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ეს მიკრობები, რომლებიც ერთად ვითარდებიან და მრავლდებიან, ახალ თვისებებს იძენენ, ბევრად მდგრადი ხდებიან სადეზინფექციო საშუალებების მიმართ და შესაბამისად, საშუალებები რომლებსაც წმენდისთვის ვიყენებთ, ნაკლებად ეფექტური ხდება.

ჯაკუზის მილებისას, მოქაფქაფე წყალთან ერთად, ეს ბაქტერიები ისევ აბაზანაში ბრუნდება, ჰაერშიც ორთქლდება და ადამიანი მავნე მიკროორგანიზმებს უპრობლემოდ შეისუნთქავს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფილტვების ანთება და სხვა ინფექციები... ზოგიერთი დაავადება კი შეიძლება ავიკიდოთ კონტაქტის გზით, თუნდაც შემთხვევით წყლის ჩაყლაპვით.

ასე, რისკჯგუფში ექცევა ნებისმიერი ადამიანი და რისკების შესამცირებლად მეცნიერები გამუდმებით დეზინფექციას გვირჩევენ არა როგორც ჭურჭლის, ისე მილებისაც.

### გაუფრთხილდით თირკმელებს!

ჯაკუზით სარგებლობა ყველასთვის ნამდვილად არ შეიძლება. ასეთ აბაზანებს გარკვეული აკრძალვებიც გააჩნია, რომელთა შესახებაც ხშირად ექიმებსაც არ აქვთ წარმოდგენა.

გერმანელი მეცნიერები, რომლებიც კარგა ხანია ამ პრობლემაზე მუშაობენ, აცხადებენ, რომ ჯაკუზი კატეგორიულად აკრძალულია მათთვის, ვისაც თირკმელები აწუხებს. შინაგანი სისხლდენის რამდენიმე ასეული შემთხვევა უკვე დაფიქსირდა — ჯაკუზიში წყლის წნევა იმდენად ძლიერია, რომ შეიძლება გამოიწვიოს თირკმლის ტრავმა, განსაკუთრებით საშიშია, თუ ადამიანს კენჭი აქვს. ასეთ დროს გამორიცხული არ არის, კენჭი დაიძრას ან შინაგანი სისხლდენა წარმოიქმნას; ასევე ყურადღებით უნდა იყვნენ ისინი, ვინც სისხლის გასათხიერებელს სვამს.



# ინტერვიუ თურქეთის რესპუბლიკის სრულუფლებიან და საგანგებო ელჩთან

*მე-7 გვერდიდან*

„საქართველო უმნიშვნელოვანესია ჩვენთვის. გვითხარით ერთი ყველაზე ხელშესახები საკითხი, რაშიც გინდათ დაგეხმაროთ“. მან უპასუხა: „გთხოვთ, იზრუნოთ, თურქეთი ევროკავშირის წევრი გახდეს“. დიპლომატს გაუკვირდა: „კი მაგრამ, თქვენ ხომ საქართველოს პრეზიდენტი ხართ?“ შევარდნაძემ კი მიუგო, ჩვენი მეზობელი თურქეთის დემოკრატიული ღირებულებების საფუძველზე, ევროკავშირში გაწევრიანება ყოველმხრივ სასარგებლოა ჩვენთვის. ერთ დღეს, თურქეთის მერე, საქართველოს ჯერიც დადგებაო. ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი, რადგან თურქეთის ეკონომიკა მეტისმეტად მზარდია. მსოფლიო ბანკის გამოთვლებით, ჩვენი ქვეყანა 2045-2050 წლისთვის მეორე ყველაზე მდიდარი ქვეყანა იქნება ევროკავშირის მასშტაბით. ასევე, ვვარაუდობთ, 2020 წლისთვის შევიდეთ „ტოპ-ათეულში“. ევროკავშირს თურქეთის გავლით გზა გაეხსნება აზიისა და აფრიკის ქვეყნებისაკენ და გაიზრდება მისი გავლენა რეგიონში. რაციონალიზმი ევროკავშირის მთავარი იარაღია და დარწმუნებული ვარ, მალე გააცნობიერებენ, რომ ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანება სასარგებლო იქნება ორივე მხარისათვის.

**— ევროკავშირში შესვლის შემდეგ ექსტრემიზმთან ბრძოლა როგორ წარმოგიდგენიათ?**

— ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანება იქნება ყველაზე ძლიერი პასუხი იმ რადიკალური ჯგუფებისთვის, რომლებიც ცდილობენ, ქვეყნები და საზოგადოებები რელიგიური ნიშნით დაყონ. თურქეთი ნებისმიერ ვარიანტში შეეწინააღმდეგება ყოველგვარ ექსტრემიზმს და ამ საკითხში დიდ წვლილს შეიტანს საერთაშორისო თანამშრომლობაში. დღეს, თურქეთი ყველაზე მტკიცე წინააღმდეგობას უწევს სირიასა და ერაყში მოქმედ ექსტრემისტულ ჯგუფს, რომელიც ბედავს, საკუთარი ორგანიზაციის სახელწოდებაში გამოიყენოს სიტყვა „ისლამი“. არადა, მას არავითარი კავშირი აქვს ისლამთან. ხშირად გულისწყრომითა და გაოცებით ვადევნებ თვალ-ყურს მედიაში გავრცელებულ დეზინფორმაციას, თითქოს თურქეთი ხელს უწყობს ამ დაჯგუფებას. თურქეთი, ყველაზე მეტად დაზარალდა ტერორიზმისაგან, ამიტომ არათუ მსგავსი ტერორისტული ორგანიზაციის ხელშეწყობა, იმის გაფიქრებაც კი, იგი უმოქმედო იყოს მის წინააღმდეგ, უსამართლობაა. მითუმეტეს, თურქეთის ძირითადი მიზანია მის ირგვლივ მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა. ეს ორგანიზაცია და ის არაჯანსაღი იდეოლოგია, რომლის გავრცელებასაც იგი ცდილობს, აზარალებს თავად თურქეთს და ისლამსაც. ყველაფერს ვაკეთებთ, ავლაგმოთ ისინი ჩვენს რეგიონსა და ზოგადად, მსოფლიოში. თუ რომელიმე პატარა ჯგუფი თურქეთის გავლით სირიაში გადავა და შეუერთდება ამ ორგანიზაციას, ეს არ ნიშნავს, რომ თურქეთი ამ ორგანიზაციას მხარს უჭერს. პირიქით, ბოლო ორი წლის განმავლობაში, ჩვენი დაზვერვის სამსახურების წყალობით, ათასობით ადამიანს ავაცილეთ თავიდან ამგვარ რადიკალურ ჯგუფებთან გაერთიანების საფრთხე. მაგრამ, ეს ბრძოლა წარმატებული ვერ იქნება მხოლოდ თურქეთის ძალისხმევით. ორგანიზაციაში ძირითადად ერთიანდებიან ევროპული და დასავლეთის ქვეყნების მოქალაქეები. ზოგჯერ ვიგებთ, რომ საქართველოდანაც არიან წასულები. აი, ზუსტად ამ ეტაპზეა საჭირო ყველა ქვეყნის სოლიდარობა და დაზვერვის ან უშიშროების სამსახურების თანამშრომლობა. უნდა არსებობდეს სისტემა, რომელიც ორგანიზაციაში გაწევრიანების სავარაუდო კანდიდატების შესახებ სწრაფი ინფორმაციის ურთიერთგაცვლას უზრუნველყოფს. ამ საკითხში, სამწუხაროდ, დასავლეთის ქვეყნებს აქვთ ხარვეზები და მხოლოდ საფრანგეთში ტერორისტული თავდასხმის შემდეგ დაფიქრდნენ ამაზე სერიოზულად.

**— ანუ, ადასტურებთ, რომ ხშირად ნაგვიანევია ევროკავშირის რეაქცია და ისინი მხოლოდ პოსტ-ფაქტუმ მოქმედებენ?**

— გეთანხმებით. უპირველეს ყოვლისა, სირიისა და ერაყის მსგავსი ბევრი სხვა პრობლემა გართულდა იმის გამო, რომ დროულად არ გადაიდგა შესაბამისი ნაბიჯები. პრობლემა არ უკავშირდება მხოლოდ ევროკავშირს. მეტიც, ჩვენი ყველაზე დიდი ნაკლი ეფექტური, გლობალური უსაფრთხოების სისტემის არქონაა. გაერო-ს უსაფრთხოების საბჭო ვერ უზრუნველყოფს საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას, რადგან იგი ხშირად ხდება პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირების მსხვერპლი. დღეს, გაეროს უშიშროების საბჭო ასახავს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ შექმნილ რეალობას, ამიტომ საჭიროა გლობალური უსაფრთხოების სისტემის რეფორმირება და მისი თანამედროვეობასთან ადაპტირება. აქედან გამომდინარე, თურქეთი მხარს უჭერს გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეფორმირების საკითხს. რამდენად გამართლებულია, რომ საკითხები, რომლებიც მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესია, დამოკიდებულია 5 ქვეყნის ვეტოს უფლებაზე? გამოდის, პრობლემები, რომლებსაც დღეს ვებრძვით, სცდება მხოლოდ ამ ხუთი ქვეყნის კონტროლის სფეროს. მდგომარეობა ერაყსა და სირიაში საერთაშორისო სისტემის არასრულყოფილების ნათელი მაგალითია. თურქეთის მრავალჯერადი მოწოდების მიუხედავად, წლების განმავლობაში არ გადაიდგა მართებული ნაბიჯები, ამ ორ ქვეყანაში არსებული პრობლემის მოსაგვარებლად. ამან რადიკალიზმი და სექტანტიზმი გააძლიერა, რასაც ასიათასობით მსხვერპლი მოჰყვა. ერაყში ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ, საკითხთან დაკავშირებით, იმედისმომცემი წინსვლაა. თურქეთი მხარს უჭერს არსებულ მთავრობას, რათა მან შეძლოს ქვეყნის გამთლიანება და საზოგადოებაში მშვიდობის დამყარება. რაც შეეხება სირიას — პრობლემა გამომდინარეობს რეჟიმისგან, რომელიც სასტიკად უსწორდება თავის ხალხს და სათანადოდ არ დაუჭირდეს მხარი საზოგადოების დემოკრატიზაციისაკენ სწრაფვას. დღესაც კი, საერთაშორისო საზოგადოება მობილიზებულია მხოლოდ ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში მოქმედ, ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან ბრძოლაზე და არ აშრობს ჭაობს, რომელიც წარმოქმნის ამგვარ რადიკალურ დაჯგუფებებს. ანუ, არ ხდება ქმედითი ნაბიჯების გადადგმა რეჟიმისგან ხალხის გასათავისუფლებლად. სირიაშიც და მთელს რეგიონშიც, სასურველია ისეთი ხელისუფლება, რომელიც არ დახოცავს საკუთარ ხალხს და არ აქცევს მათ ტერორისტებად, არამედ იაზროვნებს დემოკრატიულად, მოუსმენს ხალხს, რადიკალებს აღარ მისცემს პარპაშის საშუალებას და ნოყიერ ნიადაგს არ შეუქმნის ექსტრემიზმს. ეს შესაძლებელია და ასეთია სირიის, ერაყისა და მთელი შუა აღმოსავლეთის ხალხების სურვილი. მათი წარმატება ხომ მთელი მსოფლიოს წარმატება იქნება. უსაფრთხოების სისტემის კუთხით არსებულმა ხარვეზებმა სერიოზულად დააზარალა საქართველოც. განა, კმაყოფილები ხართ, საერთაშორისო თანამეგობრობის იმ რეაგირებით, რაც მოჰყვა 2008 წლის მოვლენებს? რა თქმა უნდა, არა! და დღეს რეგიონში შექმნილი ვითარება ნათლად ასახავს, რაოდენ მართლები ხართ. გვჭირდება უსაფრთხოების სისტემა, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ რეაგირებით, მიიღებს პრევენციულ ზომებს და უზრუნველყოფს პრობლემების ფუნდამენტურ მოგვარებას.

**— საქართველო-თურქეთს შორის სტრატეგიულ პარტნიორობაზე ვისაუბრეთ. რას იტყვით საგანმანათლებლო და კულტურულ ურთიერთობაზე?**

— საქართველოში უმაღლეს განათლებას ეუფლება დაახლოებით 800 თურქი სტუდენტი. ისინი, ძირითადად, სამედიცინო უნივერსიტეტს ანიჭებენ პრიორიტეტს — ერთი მხრივ, თურქეთში უნივერსიტეტში ჩაბარება უფრო რთულია და მეორეც, აქ მიღებული განათლების ხარისხითაც კმაყოფილები არიან. ცოტა მეტი ქართველი სწავლობს თურქეთში. ყველაფერს — უვიზო მიმოსვლასაც, მეზობლობასაც რომ თავი დავანებოთ, მილიონზე მეტი თურქი ქართული წარმომავლობისაა და ამიტომაც ჩამოდიან აქ. ბევრ მათგანს ვიცნობ და ვიცი, რომ ისინი არა მარტო განათლების მისაღებად, არამედ ქართული ენის სასწავლად და წინაპრების მიწა-წყლის გასაცნობად ჩამოდიან. გასულ ოქტომბერს, თურქული კულტურის დღეები მოვაწყვე თბილისში. 6 სხვადასხვა ღონისძიება: ფოლკლორი, ჯაზი, კლასიკური მუსიკა... ძალიან ბევრი ქართველი მოვიდა. ჩვენი სერიალებიც ხელს გვიწყობს, ქართველები ჩვენი კულტურით დაინტერესდნენ. რა თქმა უნდა, არის ისტორიული კავშირებიც. თურქებმა ვიცით თქვენი რეჟისორების შესახებ. ვიცით ფილმები „სიმინდის კუნძული“ და „მანდარინები“ და ხშირად, ვამაყობთ თქვენით და ახლაც, „ოსკარზე“ გგულშემატკივრობთ. ჩვენ კიდევ გვექნება თურქული კულტურის დღეები წელს, და ასევე, ქართული კულტურის დღეები თურქეთში, განსაკუთრებით, იმ ნაწილში, სადაც ქართული დიასპორაა.

## პატიმარი №0578

# 72 წლის ქალის მკვლელის განაჩენი

## პატიმარი, რომელმაც მოხუცს ყელი გამოჭრა, მაყურებლებმა დაასისხლიანეს და საქათმეში გადააყვანინეს



ადრე ასე იყო — ვისაც ისეთი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, რომელიც თავისუფლებაზე კი არა, ციხეშიც არ ეპატიებოდა, სასამართლოს განაჩენზე მეტად, კანონიერი ქურდების განაჩენს უფრთხოდა. სასამართლო მაქსიმუმ სამუდამო პატიმრობას მისცემდა (დახვრეტის მუხლის ამოღების შემდეგ), აი ქურდები კი არ დაინდობდნენ. არცთუ იშვიათი იყო შემთხვევა, რომ უმძიმესი დანაშაულის გამო დაკავებული პირები საკანში თავს „იხრჩობდნენ“.

სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან კანონიერი ქურდების წასვლის შემდეგ, მათი ფუნქცია „მაყურებლებმა“ იტვირთეს, მაგრამ დაუწერელი კანონის თანახმად, „მაყურებელს“ უმძიმესი „პრიგავორის“ გამოტანის უფლება არ აქვს და ისიც ქურდთან უნდა შეათანხმოს. ერთიცაა, მაყურებლის სიტყვა შეიძლება გაპროტესტდეს ქურდებთან, ქურდები თუ გადაწყვეტენ, შემდეგ პროტესტი მიუღებელია...

„არა, არა-მეთქი. დამანებე თავი შენი ისტორიებით. გამომივიდა ესეც ნოდარ დუმბაძე. გითხარი, არა და მორჩა“, — რუსთავის №17 ზონის მაყურებელი კამერაში ნერვიულად მიმოდიოდა და ადევნებულ პატიმარ №0578-ს ხელისკვრით იცილებდა.

„რა უნდა?!“ — ღიმილით ჰკითხა ქუთაისის რეგიონის მაყურებელმა.

„რა და... შემაღონა თავისი ისტორიებით. მოიყვანენ ახალ პატიმრებს და ეს საბაჟოს ატარებს, ვინ რაზეა გასროკილი წინასწარ იცის და ვინც აინტერესებს, დაისვამს და აყოლებს, რა, როგორ ჩაიდინა. ეს სირებიც უყვებიან“, — ხელები გაშალა მაყურებელმა.

„ორი შენიშვნა და ერთი შეკითხვა მექნება. ჯერ ერთი, სირები არა, იმიტომ, რომ ისტორია შენც მომიყევი და მაგას როგორ გაკადრებ პატივცემულო. მეორეც, საბაჟოს კი არ ვატარებ, აქედან რომ გავალ, დავწერ და გაუხარდება, რომ წაიკითხავს თავის ისტორიას. რაც შეეხება კითხვას: რატომ მაინცდამაინც დუმბაძე და არა მაგალითად ჭაბუა?! ციხეში ეგ რომ იჯდა, იმდენი უნდა“, — ჩაერია მაყურებლების საუბარში №0578.

„მოიცა, „თეთრი ბაირაღები“ ვინ დაწერა?!“ — იკითხა მაყურებელმა.

„დუმბაძემ“, — უპასუხა №0578-მა.

„ჰოდა, სწორად მითქვამს. რაც შეეხება შენს შენიშვნებს, მეც კაი სირი ვარ, რომ მოგიყევი, მაგრამ არ მომეშვი და რა მექნა? ისიც მახსოვს, შემპირდი, შანსი არაა, სახელს და გვარს არ დავწერო. ჰოდა, თუ დაწერ, გიპოვი და რაც სიგრძე გაქვს, იმ სიგანეს მოგცემ“, — ღიმილით თქვა მაყურებელმა.

„ახლა ვინ ჰყავს მიზანში ჩვენს ძმას?!“ — იკითხა ქუთაისელმა.

„ვინ და ის დედააფეთქებული გოგა. 72 წლის ქალს ყელი რომ გამოჭრა, ის მოჰყავთ დღეს ან ხვალ. ჰოდა, ამას უნდა დაუჯდეს და დაელაპარაკოს“, — უპასუხა მაყურებელმა.

„ჰოო... ეგ მძიმე თემაა... არ გამოვა ჩვენი ძმა ეგ ამბავი. იცი შენ, რატომაც და არ გინდა ახლა რიჟა ბაზარი. წესი წესია, უნდა დავიცვათ. სხვანაირად ზონა ხელიდან გაგვექცევა“, — სერიოზული ტონით თქვა ქუთაისელმა.

„ხომ არ გეუბნებით, არ აახსნევინოთ-მეთქი. უბრალოდ ვიცი და თქვენც იცით, რომ ვერ ახსნის, ვერსად ახსნა. მაგრად უნდა სცემოთ და საქათმეც ზედ აქვს. ამიტომ, სანამ საქათმეში გაუშვებთ და ისე სცემთ, ყველაფერი რომ დაავიწყდება, მე მაცადეთ. არ გაინტერესებთ, რას იტყვის?! გიჟი არ არისო, ფსიქიკურად ჯანმრთელია, შეხედავ, ანგელოზს ჰგავსო და იქნებ მიზეზი ჰქონდა რამე?! ამდენ გალავარეზს რომ დაინახავს ერთად, მართალიც რომ იყოს, შეიძლება მაინც ვერაფერი თქვას. მე დავუყვავებ, მოვეფერები... ბოლოს და ბოლოს, ორივე აგალაპარაკეთ და რა გოგა, ვინ გოგა... მიმიშვით რა“, — მუდარაზე გადავიდა №0578.

„ისე, არ არის ცუდი აზრი. გოგას კი არა, ეშმაკს შეაცდენს ეს და იქნებ ვაბაზროთ?! თუ არა და, ორი საათით ადრე ვცემთ თუ ორი საათით გვიან, ვინ დაგვითვლის?!“ — იკითხა ქუთაისელმა.

„რა ორი საათი, სამი დღე უნდა. ორი დღე უნდა დავუყვავო, უნდა ვეფერო, მესამე დღეს უნდა დაველაპარაკო. სამი დღე ზონაში ნაბოზვარი მყავდეს და კითხვა არ დავუსვა, მეხუმრები?! გლდანშიც კი, სადაც ასეთი რეჟიმია, რამდენჯერმე სცემეს. მოსაკლავია ეგ ბოზი. გლდანის ციხეს მაყურებელი არ ჰყავს, თორემ აქამდე საქათმეში იქნებოდა“, — აყვირდა მაყურებელი.

„სამი დღე ბევრია... ძალიან ბევრი. არ გამოვა არანაირად. ჩვენი ჩესტი დგება კითხვის ნიშნის ქვეშ“, — დაეთანხმა ქუთაისელი.

„ჰო, მაგრამ... მომისმინეთ — შანსი არ არის, რამე ახალი თქვას, არადა თქვენ ამ საქმის დეტალები არ იცით. მე კი ვიცი, ჩემი ადვოკატი ჰყავდა მაგასაც და ვიცი, რომ ყველაფერი ისე არ იყო, როგორც ჩანს“, — არ დანებდა №0578.

„მერე გვითხარი ეგ დეტალები და გვეცოდინება“, — გაეცინა ქუთაისელს.

„მოკლედ, ერთი იდეა მაქვს, ოღონდ თქვენ არ უნდა ამიყვირდეთ და არც ჩესტი დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ და არც სხვა რამ. მეც ჩემი სამი დღე მექნება“, — შემპარავი ხმით თქვა №0578-მა.

მაყურებლებმა ერთმანეთს გადახედეს, მერე პატიმარს შეხედეს და თავის აქნევით ანიშნეს, თქვიო.

„კარცერში უნდა წახვიდეთ ორი დღით. მესამე დღეს ამოხვალთ. მანამდე მე ის კაცი დამუშავებული მეყოლება და რასაც მოვაყოლებ, მოისმენთ თქვენც. განაჩენიც მერე გამოიტანეთ. კარცერში წასვლა მარტივია, მით უმეტეს, თქვენთვის. ლაშა ბრეგვაძეც ქულებს სიხარულით ჩაიწერს, მაყურებლები გავაკარცერეო. მოდავებით ვერავინ მოგედავებათ, კარცერში იყავით და იმ კაცს როგორ დასჯიდით. რას იტყვით, ღირს გარისკვად?!“ — ჰკითხა №0578-მა.

„ხომ არ გადაირიე? ვიღაც ნაბოზვარის, საქათმის პასაჟირის გულისთვის, კარცერში ვიძაგძაგოთ ორი დღე?! მაგის ბოზი დედაც... არსად წასვლას არ ვაპირებ, ამოვა და ორ საათში საქათმეში დაიდებს ბინას. მომინდომა აქ შიდა გამოძიების ჩატარება“, — აყვირდა მაყურებელი, მაგრამ...

„მართალს ამბობს ეს ბიჭი. საქათმეში მაგის გაშვებას არაფერი უნდა, მაგრამ რომ შეგვეშალოს, რა ხდება მერე? იმ კაცმა რომ თქვას, შემეშინდა და ვერ ავხსენიო და სხვა თემა რომ იყოს?“ — იკითხა ქუთაისელმა.

„სხვა რა თემა უნდა იყოს? 72 წლის ქალის მკვლელობა აღიარა იმ ჩემისამ. გესმის, აღიარა! კი არ აღიარებინეს, აღიარა! მორჩა! თემა, დაიხურა!“, — სწრაფად უპასუხა მაყურებელმა.

„არ მორჩა, არც დაიხურა. მე ვიცი, არის დეტალები, რომლებსაც ახსნა სჭირდება“, — ცეცხლზე ნავთი დაასხა №0578-მა.

„ჩავიდეთ, ძამია, კარცერში, არაფერი დაგვიშავდება, ნერვებს მაინც გავანიავებთ ორი დღე და მერე კი მოვისმენთ იმის ბჟუტურს. ესეც კაი შებერტყილია და ეგებ, რამე ათქმევინოს იმ ჩემი ცოდვით სავსეს“, — თქვა ქუთაისელმა. მაყურებელს სახეზე შეეტყო, წინააღმდეგობის სურვილი აღარ ჰქონდა.

მკვლელი ზონაზე ორი დღის შემდეგ მოიყვანეს. როგორც კი ეს ამბავი გაირკვა, ზონის მაყურებელი თავის ამფსონებთან ერთად მცირე გადაცდომის გამო კარცერში გაისტუმრეს. №0578 მოუთმენლად ელოდა ახალ პატიმარს და როცა თვალი მოჰკრა, გაოცდა — მის წინ ძალიან სიმპათიური ახალგაზრდა ბიჭი იდგა.

„გოგა შენ ხარ?!“ — მშვიდად ჰკითხა №0578-მა. ახალმოსულმა კი, ჯერ ეჭვისთვალით შეხედა, მერე მშვიდად უპასუხა: „კი“.

„ძალიან კარგი. მე და შენ საერთო ადვოკატი გვყავდა. ყურადღება მიმიქციეო, მითხრა. წამო, სახლში დარეკე, ბარათს მე მოგცემ, უთხარი, რომ კარგად ხარ. მერე ჩემთან ავიდეთ, ჩაი დავლიოთ“, — უთხრა №0578-მა და გოგა ტელეფონებისკენ ლამის ძალით წაათრია.

მერე იყო საკანში ჩაის სმა და და მეორე დღე. №0578 გოგას თავს ევლებოდა, ცივ ნიავს არ აკარებდა და როცა დღის ბოლოს ჰკითხა, მაყურებლები სად არიანო, №0578-მა მშვიდად მიუგო: „დაიკიდე, მოგვარებულია ყველაფერი, არავინ შეგეხება“.

მესამე დღეს კარცერიდან მაყურებლები ამოვიდნენ და პირდაპირ №0578-ის კამერაში ავიდნენ. საკანში მხოლოდ გოგა და პატიმარი №0578 ისხდნენ.

„აი, მაყურებლები, რომ გითხარი მოვლენ-თქო. ჰოდა, მოყევი ახლა, მარტივად, როგორც იყო და დავამთავროთ. ამათაც გავუიასნოთ, რა“, — უთხრა №0578-მა და მაყურებლებს ქედმაღლურად გადახედა.

„მგონი წაგვართვა ამან მაყურებლობა“, — ჩაიჩურჩულა ქუთაისელმა და გაეცინა.

„არაფერი განსაკუთრებული. ის ქალი არაყს ყიდდა. მთვრალი ვიყავი. პოსლეზე მინდოდა, არ მომცა, გავბრაზდი და შემთხვევით დანა დავარტყი. სულ ეს იყო, პიანნი ბაზარის თემაა, რა“, — ერთ წინადადებაში დაასრულა მოყოლა გოგამ. სახტად დარჩენილმა მაყურებლებმა ერთმანეთს გადახედეს, თუმცა...

„ხომ ხედავ, შინაურები ვართ, არაფერს გეუბნებით. უკვე მატყუებ. ჯერ ერთი, პიანნი ბაზარი გასამართლებელი საბუთი არაა და არც გეუბნებით, თავი იმართლეო. მერე მეორე, დანა კი არა, მაკრატელი იხმარე. მესამეც, ის მაკრატელი იმ ქალს ზურგში ორჯერ ჰქონდა ჩარტყმული და მერე ჰქონდა ყელი გამოჭრილი“, — უთხრა №0578-მა.

გოგა დაიბნა, მაყურებლებს შეხედა, მათ კი მხრები აიჩეჩეს და №0578-ზე მიანიშნეს, ის გეკითხება, ჩვენ რა შუაში ვართო.

„ჰო, ეგრე იყო, რამდენჯერმე მოვიქნიე და ორჯერ ზურგში მოხვდა. მერე ყელში“, — ისევ „დაასრულა“ გოგამ.

„კი, მაგრამ... ის ქალი შიშველი რატომ იყო, მეზობლებმა ხომ შიშველი ნახეს?!“ — ჰკითხა №0578-მა და მაყურებლებმა გაოცებისგან პირი დააღეს.

„შიშველი? წინააღმდეგობას რომ მიწევდა, მაშინ შემოეხა ტანსაცმელი“, — ჩუმად თქვა გოგამ.

„72 წლის ქალი გიწევდა წინააღმდეგობას?! და ტანსაცმელი შემოეხა? და ტრუსიკიც შემოეხა? და ტახტზე ფეხებგაჩაჩხული რომ ეგდო, ეგეც შემთხვევით?! შენ პროკურორი ხომ არ გგონივარ, რაღაცებს რომ მალავ?!“ — იყვირა №0578-მა.

„არ ვიცი... მთვრალი ვიყავი... არ გამიუპატიურებია... ექსპერტიზის დასკვნა დევს, რომ არ მიხმარია“, — აყვირდა გოგა.

„არ კი არა, ვერ! 72 წლის ქალზე გული არ მიგივიდა და ეგ იყო მიზეზი. ერთი წლის წინ პირობითი რომ მოგარჭვეს, მეზობლის ქალთან რომ შევარდი მთვრალი და იმასაც ტანსაცმელი შემოახიე, ეგეც ვიცი და ისიც, რომ ის ქალი 78 წლის იყო. მაშინ უბრალოდ ვერ იფიქრეს, რომ გაუპატიურებისთვის შეიძლებოდა შევარდნილიყავი. ხულიგნობის ბრალდებით მოგისაჯეს პირობითი. ახლა ამას შეუვარდი და რომ აყვირდა, ყელი გამოჭერი მაკრატლით, მერე გაუპატიურება სცადე და არ გამოგივიდა, ახლა კი აქ ზიხარ და გვაბოლებ შენი დედა...“ — აღარ დაასრულა №0578-მა და გოგას სილა გააწნა.

მერე ყველაფერი მალე დასრულდა. მაყურებლებმა გოგა ლამის სიკვდილამდე მიიყვანეს და ბადრაგმა პატიმარი საქათმეში გადაათრია.

„ეგ შენი ადვოკატი ნორმალურია, ამას როგორ იცავდა?!“ — საღამოს ჰკითხა მაყურებელმა №0578-ს.

„ადვოკატია რა, გადაუხადეს და იცავდა“, — გაეღიმა №0578-ს.

## ვერსიანიუსი

### შსს-მ ტროტილი ამოიღო




შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მუხრანის პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული გიორგი მ. და 1983 წელს დაბადებული ლაშა ა. ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო დამზადება-გადაზიდვისა და ტარების ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა გიორგი მ. მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის მახლობლად, საავტომობილო გზაზე იმ დროს დააკავეს, როცა მას ასაფეთქებელი ნივთიერება ავტომანქანით საკუთარ სახლში მიჰქონდა. პოლიციამ დაკავებულის ავტომობილის ჩხრეკისას სალონიდან 1 კილო და 824 გრამი ტროტილი, 6 ცალი ცეცხლგამტარი ზონარი და კაფსულ-დეტონატორი ამოიღო. გამოძიებამ დაადგინა, რომ გიორგი მ-ს ტროტილი საჩუქრად მეგობარმა — ჭიათურის რაიონის სოფელ მერევში მცხოვრებმა ლაშა ა-მ გადასცა, რომელმაც აღნიშნული ფეთქებადი ნივთიერება რამდენიმე წლის წინ ჭიათურაში თავად მოიპოვა. სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ლაშა ა. რუსთავში, მეუღლის მშობლების სახლში დააკავეს. ორივე დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო დამზადება-გადაზიდვის და ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით).

*„ვერსიანიუსი“*

### შსს-მ ქარელში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო



შსს-ს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს ქარელის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული, ზესტაფონში მცხოვრები ანზორ გ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ბრალდებით ქარელში დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებული იმ დროს დააკავეს, როდესაც ის ავტომანქანით ქარელში, ჭავჭავაძის ქუჩაზე გადაადგილდებოდა. პოლიციამ ანზორ გ-ს მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის ჩხრეკისას „ა-კა-ემ“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი 2 მჭიდითა და 13 საბრძოლო ვაზნით ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილით).

*„ვერსიანიუსი“*







# იაპონელებმა ხმის ჩამხშობი გამოიგონეს

იაპონელმა სწავლულებმა მოწყობილობა შექმნეს, რომელსაც მეტყველების ჩახშობა შეუძლია. ის სრულიად უმტკივნეულოდ მოქმედებს ადამიანის ტვინზე და აიძულებს გაჩუმდეს. ტოკიოს ტექნოლოგიური ინსტიტუტის სწავლულებმა შექმნეს გადასატანი ხმის ჩამხშობი, რომელსაც შეუძლია ადამიანი 30 მეტრზე მეტი დაშორებითაცკი გააჩუმოს. მოწყობილობა შემდეგნაირად მოქმედებს — იწერს თავისი „მიზნის“ ლაპარაკს და მისკენ მიმართავს სულ რაღაც 0,2 წამის დაგვიანებით. ეს აზროვნებაზე ახდენს გავლენას, რის გამოც ადამიანი ენის ბორძიკს იწყებს, მერე კი საერთოდაც ჩუმდება. როგორც გამოგონების ავტორები აღნიშნავენ, მოწყობილობა ყველაზე უკეთ იმ მათზე მოქმედებს, ვინც წიგნს ხმამაღლა კითხულობს. მას ასევე არ შეუძლია სხვადასხვა ხმებისა და წამოძახილის ჩახშობა, მაგალითად სიცილის. სწავლულების თქმით, ხმის ჩამხშობის გამოყენება ეფექტური იქნება მათზე, ვინც ხმამაღლა ლაპარაკობს ბიბლიოთეკაში ან ჯგუფური დისკუსიისას კოლეგებს არ აცლის ხმის ამოღებას.

# კრედიტი პარმეზანის სანაცვლოდ



იტალიური ბანკების უმრავლესობა, კრედიტის სანაცვლოდ, გირაოში ლეგენდარულ ყველს, პარმეზანს (parmijanos) იტოვებს. თუ უფრო ჩავუღრმავდებით აპენინელი ბანკირების ამ გადაწყვეტილებას, აღმოჩნდება, რომ ის საკმაოდ გონივრულია. ყველის ამ დახვეწილ სახეობაზე მოთხოვნა, ტრადიციულად, მაღალ დონეზეა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებსგარეთაც, მიუხედავად ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენებისა. ყველის მწარმოებელი ფერმერებისთვისაც ხელსაყრელია ამგვარი პირობები და თანამშრომლობა საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებებთან. ცნობილია, რომ პროდუქტის მომწიფებისთვის ერთიდან სამ წლამდეა საჭირო. დროთა განმავლობაში ყველის გემო უფრო იხვეწება და უმჯობესდება, არომატიც უფრო მძაფრდება. ასე რომ, გირაოში ფერმერები ჯერ კიდევ მოუმწიფებელ პროდუქტს დებენ, უკან კი უკვე გაყიდვისთვის მზა პარმეზანი მიაქვთ. ასეთი „ყველის კრედიტების“ პროცენტი არც ისე მაღალია და წლიურ 3%-ს შეადგენს. ყველის საცავებს ბანკები საგულდაგულოდ იცავენ, რადგან ერთი თავის სავარაუდო ღირებულება დაახლოებით 300 ევროა.

# გამდინარე წყლისგან ლუდს ჩამოასხავენ



ამერიკულმა კომპანიამ Clean Water Services, რომელიც გამდინარე წყლის გაწმენდაზეა პასუხისმგებელი, ლუდის წარმოება გადაწყვიტა. ახალი პროდუქტისთვის გამოიყენებენ საკანალიზაციო წყალს, რომელიც სამსაფეხურიან გაწმენდის პროცესს გაივლის. ნედლეულს, ანუ მიღებულ სუფთა წყალს ლუდსახარშ კომპანიას Oregon Brew Crew გადასცემენ, რომელიც ახალი ალკოჰოლური სასმელის წარმოებით დაკავდება. ამჟამად აშშ-ს კანონმდებლობით ნებადართულია, გაწმენდილი გამდინარე წყლის მხოლოდ ირიგაციისა და მრეწველობაში გამოყენება. კომპანიის წარმომადგენელი აცხადებს, რომ ისინი ცდილობენ, ხალხი მიდგომა შეცვალონ გაწმენდილი წყლის მიმართ და ასევე ხელი შეუწყონ ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრას. მზა სასმელი მხოლოდ მაშინ გავა გაყიდვაში, რაც მას ჯანდაცვის ადგილობრივი დეპარტამენტი მოიწონებს. სავარაუდოდ, ეს გაზაფხულზე მოხდება.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | | 9 | 6 | | | 1 | |
| | | 7 | 5 | | | | 9 | 8 |
| 9 | | | | | 3 | | | |
| 8 | | | 6 | | | | | |
| 4 | | 3 | | 1 | | 5 | | 7 |
| | | | | | 7 | | | 6 |
| | | | 7 | | | | | 9 |
| 7 | 1 | | | | 5 | 8 | | |
| | 9 | | | 4 | 1 | | | 5 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 7 | 5 | | | 2 | 9 | | |
| | | | | | | 5 | 4 | |
| 9 | | | 6 | | | | | 1 |
| | 5 | | | 7 | | 4 | 3 | |
| | | 3 | | 2 | | 7 | | |
| | 9 | 6 | | 4 | | | 2 | |
| 6 | | | | | 1 | | | 7 |
| | 8 | 7 | | | | | | |
| | | 4 | 7 | | | 6 | 9 | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 3 | | | | 4 | 1 |
| 6 | | | 7 | 5 | | | | 8 |
| | | 9 | | | 6 | 3 | | |
| 5 | | | | | | | 6 | 7 |
| | | | | | | | | |
| 3 | 6 | | | | | | | 4 |
| | | 2 | 1 | | | 8 | | |
| 4 | | | | 2 | 8 | | | 3 |
| 1 | 5 | | | | 3 | | | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | 4 | | | | | 9 | |
| | | 5 | 9 | | | 3 | | 8 |
| | | 8 | | | 2 | | | |
| | 8 | | 7 | | | | 2 | 5 |
| | | | 2 | 1 | 9 | | | |
| 9 | 4 | | | | 8 | | 7 | |
| | | | 6 | | | 5 | | |
| 4 | | 7 | | | 5 | 8 | | |
| | 5 | | | | | 1 | | 2 |



## ფუფუნება ჰაერში

მსოფლიოს ავიაკომპანიები ერთმანეთს არა მხოლოდ თვითმფრინავების რაოდენობით, გადაყვანილი მგზავრებითა და მარშრუტების სიდიდით ეჯიბრებიან. ცაში არაბული გადამყვანების გამოჩენამ ავიაკონკურენციას კიდევ ერთი ასპექტი დაუმატა — ფუფუნება. ამ მდიდრული რბოლის მორიგი მონაკვეთი არაბეთის გაერთიანებული საამიროების კომპანიამ Etihad წარმოადგინა. განსაკუთრებით სქელი საფულის პატრონებს, რომელთაც უკვე აღარ აწყობთ პირველი კლასით მგზავრობა და მომსახურება, ახლა შეუძლიათ ისარგებლონ სუპერპრემიალური ვარიანტით — „რეზიდენცია“. ეს თითქმის სრულფასოვანი ორადგილიანი, ოროთახიანი ნომერია — მისაღებითა და საძინებლით, სადაც ნამდვილი ორადგილიანი საწოლი დგას. თუმცა, მასში დაძინება მგზავრს დედამიწაზევე არ გამოუვა, რადგან ავიციის უსაფრთხოების წესები აქაც მკაცრადაა დაცული და თვითმფრინავის აფრენისა და დაშვების პროცესში მგზავრი უნდა იჯდეს უსაფრთობის ქამრით დაბმული. ოროთახიანი ლუქსის მგზავრებს აქვთ ცალკე ტუალეტი და საშხაპე, ასევე საკუთარი ბატლერიც (ანუ მსახური) ჰყავთ. აბა, წარმოიდგინეთ, ადამიანი, რომელმაც ბილეთში ეკონომკლასის მგზავრის თითქმის წლიური შემოსავალი გადაიხადა, ხომ არ დაელოდება, ბორტგამცილებლები სხვებს როდის მოემსახურებიან. თვითმფრინავში განაწყენებეულნი არც პირველი კლასის მგზავრები არიან — თითოეულს საკუთარი კუპე აქვს, ამიტომ სალონის ცენტრალური გასასვლელი მატარებელს ჰგავს. მართალია, სველი წერტილი ინდივიდუალური არ არის, მაგრამ აქაც არის საშხაპე.

## უფასო პიცა და შობადობის კონტროლი



აშშ-ს მასაჩუსეტსის შტატის უროლოგებმა ახალი მეთოდი მოიფიქრეს მამაკაცების სტერილიზაციის — ვაზექტომიის პოპულარიზაციისთვის: ნებისმიერი პაციენტი, რომელიც ამ ოპერაციის გაკეთებას გადაწყვეტს, საჩუქრად პიცას მიიღებს. კეიპ-კოდის უროლოგთა ასოციაციაში მიიჩნევენ, რომ ეს უსაფრთხო და ადვილი გზაა პროცედურის პოპულარიზაციისა და ბიზნესის გაუმჯობესებისთვის. მართლაც, „აქციის“ მოქმედების პირველი თვის განმავლობაში პაციენტების რაოდენობა სამჯერ გაიზარდა. დოქტორი ევანგელოს გერანიოტისი, რომელიც შტატის სხვადასხვა ქალაქში ეწევა სამედიცინო პრაქტიკას, ვაზექტომიას შობადობის კონტროლის მარტივ და უსაფრთხო საშუალებად მიიჩნევს.

## რეკორდის ხათრით თავი დამარხა



შრი-ლანკელი ახალგაზრდისთვის ტრაგედიით დასრულდა მსოფლიო რეკორდის დამყარების მცდელობა. 24 წლის ჯანაკს ბასნაიაკემ გადაწყვიტა, რომ შეიძლება საფლავში 6 საათზე მეტი გაატარო და ცოცხალი დარჩე. ახალგაზრდას დახმარებაზე მეგობრები და ნათესავები დათანხმდნენ. მათ ამოთხარეს საფლავი და მომავალი რეკორდსმენი მიწის ქვეშ 6.30 საათით დატოვეს. როცა კვლავ გათხარეს, საფლავში უგონოდ მყოფი ჯანაკე აღმოაჩინეს. ის მაშინვე საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ სამწუხაროდ ველარაფერი უშველეს, ექიმებმა მხოლოდ წარუმატებლი რეკორდსმენის სიკვდილის კონსტატირება მოახდინეს. როგორც გარდაცვლილის დედა აცხადებს, ცოცხლად დამარხვა მისი ვაჟის ჰობი იყო. მან საფლავში ადრე 6 საათიც გაატარა და ცოცხალი დარჩა. ამის შემდეგ კი მან რეკორდის დამყარება გადაწყვიტა. მხოლოდ უცნობია, საიდან მოიტანა ახალგაზრდამ, რომ რეკორდის დასამყარებლად საფლავში 6 საათზე მეტის გატარება იყო საჭირო.

## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 2 | 9 | 5 | 7 | 6 | 1 | 8 | 3 |
| 3 | 6 | 8 | 2 | 4 | 1 | 9 | 7 | 5 |
| 5 | 7 | 1 | 3 | 8 | 9 | 6 | 4 | 2 |
| 2 | 1 | 3 | 8 | 9 | 7 | 5 | 6 | 4 |
| 9 | 8 | 7 | 4 | 6 | 5 | 2 | 3 | 1 |
| 6 | 5 | 4 | 1 | 3 | 2 | 8 | 9 | 7 |
| 1 | 9 | 6 | 7 | 2 | 4 | 3 | 5 | 8 |
| 8 | 4 | 5 | 6 | 1 | 3 | 7 | 2 | 9 |
| 7 | 3 | 2 | 9 | 5 | 8 | 4 | 1 | 6 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 5 | 4 | 3 | 1 | 8 | 9 | 7 | 6 |
| 3 | 1 | 9 | 6 | 2 | 7 | 4 | 8 | 5 |
| 8 | 7 | 6 | 4 | 9 | 5 | 3 | 2 | 1 |
| 6 | 3 | 2 | 5 | 8 | 4 | 7 | 1 | 9 |
| 1 | 9 | 5 | 7 | 3 | 2 | 6 | 4 | 8 |
| 4 | 8 | 7 | 1 | 6 | 9 | 5 | 3 | 2 |
| 7 | 6 | 3 | 8 | 5 | 1 | 2 | 9 | 4 |
| 9 | 4 | 8 | 2 | 7 | 6 | 1 | 5 | 3 |
| 5 | 2 | 1 | 9 | 4 | 3 | 8 | 6 | 7 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 5 | 7 | 4 | 3 | 2 | 8 | 1 | 6 |
| 1 | 8 | 2 | 7 | 9 | 6 | 5 | 4 | 3 |
| 6 | 4 | 3 | 5 | 1 | 8 | 9 | 2 | 7 |
| 8 | 2 | 4 | 3 | 7 | 1 | 6 | 9 | 5 |
| 7 | 6 | 5 | 2 | 4 | 9 | 3 | 8 | 1 |
| 3 | 1 | 9 | 8 | 6 | 5 | 4 | 7 | 2 |
| 5 | 9 | 1 | 6 | 2 | 4 | 7 | 3 | 8 |
| 4 | 7 | 8 | 1 | 5 | 3 | 2 | 6 | 9 |
| 2 | 3 | 6 | 9 | 8 | 7 | 1 | 5 | 4 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 3 | 2 | 7 | 5 | 1 | 6 | 4 | 9 |
| 6 | 1 | 9 | 8 | 3 | 4 | 2 | 7 | 5 |
| 7 | 5 | 4 | 6 | 2 | 9 | 3 | 1 | 8 |
| 4 | 2 | 6 | 3 | 1 | 8 | 9 | 5 | 7 |
| 5 | 9 | 8 | 4 | 6 | 7 | 1 | 3 | 2 |
| 3 | 7 | 1 | 5 | 9 | 2 | 4 | 8 | 6 |
| 2 | 6 | 3 | 1 | 8 | 5 | 7 | 9 | 4 |
| 1 | 8 | 7 | 9 | 4 | 6 | 5 | 2 | 3 |
| 9 | 4 | 5 | 2 | 7 | 3 | 8 | 6 | 1 |

მე-10 გვერდი: 1. ჰალუცინაცია; 2. პარაშუტი; 3. ჰაბანერა; 4. ლუციფერი; 5. ცისტა; 6. პოლონეთი; 7. რამადანი; 8. შანელი; 9. ტიტა; 10. აბსცისა; 11. უზალთუნი; 12. იბაგე; 13. ტაიფუნი; 14. ლამინატი; 15. ენერგია; 16. შალე; 17. არარატი; 18. ბეზე; 19. ტომსიკა; 20. ნადელი; 21. გორილა; 22. მარინა; 23. ალიგოტე; 24. სოკერი; 25. თონე; 26. ავაზა; 27. არუე; 28. ემილია; 29. საფარი; 30. კარე; 31. რონინი; 32. „ტატრა“; 33. გი; 34. „ლეგია“; 35. ანგარი; 36. სპა; 37. ფორინტი; 38. ლემა; 39. მარმაში; 40. ელფი; 41. ნოტი; 42. პიტი; 43. აბო; 44. ელი; 45. ანტრე; 46. ფია; 47. იდეა; 48. კურარე; 49. ელიბო; 50. ალტაი; 51. ამინ; 52. კანოე; 53. მორტალე; 54. ხე; 55. შმორი; 56. დოგი; 57. ეკალა; 58. ომი; 59. ეხი; 60. ორტი; 61. ყანა.

მე-12 გვერდი: 1. ამბორი; 2. მოლაღური; 3. ოქსფორდი; 4. სტიქსი; 5. ტუტანჰამონი; 6. ქვემდებარე; 7. ელისტა; 8. ლაინსმენი; 9. ბრასი; 10. მტრედი; 11. იამანიძე; 12. ორატორია; 13. ოლღა; 14. ოდინი; 15. ირიდა; 16. ფრაუ; 17. ჰაერი; 18. ფანატიზმი; 19. ტარო; 20. ინინგი; 21. ტრიო; 22. მამბა; 23. მაატი; 24. სუმატრა; 25. ამატერასუ; 26. იოანე; 27. ტრიუმფალური თაღი; 28. მონრო; 29. კრეინი; 30. რკო; 31. მიულერი; 32. ემი; 33. ნიუ; 34. ნაი; 35. ძიუდო; 36. ვისკოზა; 37. ზანგი; 38. მეგ; 39. გონგი; 40. ლეი; 41. აბოლიცია; 42. ამტი; 43. ფა; 44. იაკი; 45. კომედია; 46. ვაკე; 47. ტიუსო; 48. ეირე; 49. ალტაირი; 50. რაცია; 51. ფარა; 52. ალა; 53. კიურე; 54. სემი; 55. გლასე; 56. რაბი; 57. ფელუკა; 58. კაი; 59. ბადრო; 60. ირი; 61. მირტი; 62 ბუ; 63 სი; 64. ილორი; 65. აცე; 66. ცია; 67 სუ; 68. სარი; 69. ეტლი; 70. იურე; 71. იასი; 72. თმა; 73. ბაღი; 74. ძუა; 75. აია; 76. კაა; 77. ერმიტაჟი; 78. რაჟა; 79. მუსიე; 80. ისლი; 81. ყია; 82. დაბალი; 83. როლი; 84. კოლუმბია; 85. რაიტი; 86. ესე; 87. ყადი; 88. ჩია.



1. თურქი ჯარისკაცი
2. აკაკი წერეთლის ძიძის სოფელი
3. ლორწოვანი გარსის ზედაპირული დაწყლულება
4. ცხვრის ბეწვიანი საფარი
5. მეთაურის უშუალო განკარგულ. მყოფი ოფიცერი
6. მცენარის ნორჩი ტოტი
7. დიდი გარეული ფრინველი
8. „ბებერი კონტინენტი“
9. ჰიტლერის სახელი
10. რადიოტალღების დამჭერი მოწყობილობა
11. პეტრე მოციქულის თავდაპირველი სახელი
12. ტვირთმზიდავი ხარი
13. წმინდა მოგება ძიუდოში
14. ინდური კობრა
15. გარეული ღორი
16. საგაზეთო წერილი
17. მსუბუქი ავტომობილის ტიპი
18. ჩინური დამწერლობის ნიშანი
19. ხმელთა-შუა ზღვის სანაპირო საფრანგეთ-იტალიაში
20. ღვთისმშობელი მარიამის დედა
21. მონასტერი ისტორიულ კლარჯეთში
22. ქართველი კინომსახიობი
23. მუსიკალ. გამის V ნოტი
24. ნერვული სისტემის ცენტრალური ნაწილი
25. ზოოპარკში შემოღობილი ადგ. ცხოველებისთვის
26. ზმნის მორფოლოგიური კატეგორია
27. დედამიწის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
28. ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონი და ფიფას მესამე პრეზიდენტი
29. ინტერნეტ-ტელეფონი
30. თმის ელექტროსაშრობი
31. ამერიკელთა მეტსახელი
32. შინაური ცხოველი
33. „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო პროგრამა
34. „როკ-ენ-როლის მეფე“ ... პრესლი
35. ხევისბერი გოჩას ვაჟი
36. სასახლის ხუმარა „ჰამლეტში“
37. მოკრივე მუჰამედ ...
38. ტყვის ახალ. ზედაპირი.
39. მონარქიული ქვეყნების კავშირი
40. აშშ-ის მსახიობი პრეზიდენტი
41. ოტელოს მტერი
42. შუა საუკუნეების უზბეკი პოეტი
43. თავის დაკვრა მუხლის ოდნავ ჩაკეცვით
44. ჭაობის მცენარე
45. საქართ. საფეხბურთო ნაკრების მეკარე
46. თუთიყუშის ჯიში
47. ერიტრეას დედაქალაქი
48. კბილის დაავადება
49. წარწერა საფლავის ქვაზე
50. ველური კომში
51. საკაზმი მწვანილი
52. სამწლიანი ცხენების დოღი
53. ცეცხლგამძლე კარადა
54. რუსი საბჭოთა ილუზიონისტი
55. ზღაპრული შინაარსის იგავი
56. პერსევსის დედა
57. წილი ბიზნესში
58. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი
59. ბერძნული ანბანის ასო
60. ოფიციალური ცნობა რაიმე საკითხზე
61. მნიშვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
62. პარკოსანი მცენარე
63. მოსაცდელი დარბაზი თეატრში
64. ნადირობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში
65. მოჭადრაკე კრამლინგის სახელი
66. იგივეა, რაც ღაწვი
67. გამოჩენილი რუსი ალტისტი
68. პოლონელი ქალბატონი
69. ბუქარესტის საფეხ. კლუბი
70. ფუტკრის სახლი
71. საგალობელთა ჯგუფის პირველი საგალობელი
72. მდინარე ყაზახეთსა და ჩინეთში
73. ბიბლიური აბრაამის ცოლი
74. თოვლის ბებო „ივერიის“ მიუზიკლში
75. წაკვეთილი კონუსის ფორმის ფუნჯიანი ქუდი
76. ჩინური მაფია
77. ქართველ ქალთა ცეკვა
78. ძაღლის სადარაჯო ადგილი ცხვრის ფარასთან
79. ცხიმოვანი სიმსივნე
80. აღმოსავლური დოლის ჰანგი
81. ჯუზეპე ვერდის ოპერა
82. მუსლიმანთა წმინდა წიგნი
83. ქართული ხალხური ზღაპარი
84. საგალობელი, რომელსაც მიცვალებულის ნათესავები მღერიან დასაფლავების დროს



# მაღაზიებში მამაკაცებს სათამაშო აპარატები დაუდგეს

ინგლისურ ნოტინჰემში, ტანსაცმლის მაღაზიაში სათამაშო აპარატები გაჩნდა იმ მამაკაცებისთვის, ვინც მოწყენილები სხედან და ელოდებიან, მათი მეორე ნახევრები როდის აარჩევენ სასურველ სამოსს. აღნიშნავენ, რომ მაღაზია მოდური ბრენდის Urban Outfitters-ის ქსელში შედის. სხვადასხვა აპარატები სავაჭრო პავილიონის ცენტრში, სპეციალურ პლატფორმებზეა დამონტაჟებული. მსურველს აქ შეუძლია დრო გართობაში გახარჯოს, ვიდრე მისი თანამგზავრი სუსტი სქესის წარმომადგენელი მოსაწონ სამოსს შეარჩევს. როგორც ადგილობრივი პრესა წერს, ქსელის ადმინისტრაციის ჩანაფიქრმა გაამართლა და მიუხედავად იმისა, რომ ეს მოწყობილობები ცოტა ხნის წინ დადგეს, ისინი უკვე სრული დატვირთვით მუშაობს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.